ოფშორულ კომპანიებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები და მათი პოლიტიკური იმპლიკაციები

თბილისი
2024

ფლანგვის დეტექტორი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

კვლევის კოორდინატორები:
შოთა დიღმელაშვილი, თამთა მიქელაძე

მკვლევრები:
ხატია ნიკოლაიშვილი, ლუკა ლომსაძე,
ლია ჩხეტიანი

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციების წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: ფლანგვის დეტექტორი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი,ხატია ნიკოლაიშვილი, ლუკა ლომსაძე, ლია ჩხეტიანი, „ოფშორულ კომპანიებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები და მათი პოლიტიკური აღსრულება“, 2024

ფლანგვის დეტექტორი

https://gmc.org.ge/ka

info@gmc.org.ge

https://www.facebook.com/squanderdetector

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

https://socialjustice.org.ge/

info@socialjustice.org.ge

https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

საგადასახადო შეღავათები ოფშორული ქვეყნებისთვის 4

მოგების გადასახადი საქართველოში და ე.წ. „ესტონური მოდელი “ 4
შეღავათიანი დაბეგვრის მქონე, ანუ ე.წ. „ოფშორული“ ქვეყნები 5
„ოფშორულ“ კომპანიებთან დაკავშირებით საგადასახადო კოდექსში გატარებული საკანონმდებლო ცვლილებები 5

რა შედეგები მოაქვს ახალ კანონს 6

კანონის განმარტებითი ბარათი 6
კანონის რეალური შედეგი - საქართველოდან მოგების დაუბეგრავად გატანა? 7
კანონის გავლენა სამომავლო ქონებაზე 8
იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლება 9
ქონების გადასახადისაგან გათავისუფლება 10
ფულის გათეთრების რისკების ზრდა 10

საგადასახადო შეღავათი თუ გადასახადებისაგან თავის არიდების დაკანონებული სქემა? 11
ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული შეღავათით სარგებლობის ინსტრუქცია 12
კოლიზია კანონსა და ბრძანებას შორის 13
კანონისა და მინისტრის ბრძანების ძალაში შესვლის პერიოდები 14
საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისობა OECD-ის პოლიტიკასთან 14
საგადასახადო თავშესაფრები 16
მავნე საგადასახადო პრაქტიკა 16
საკანონმდებლო ცვლილების გავლენის ანალიზი 17
შეჯამება 18


ვინ ხეირობს ე.წ. ოფშორების კანონით? 21

ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული ოფშორული კომპანიები 25
ძვირადღირებული ხელოვნების ნიმუშები და ქონება, რომელიც გადასახადისგან თავისუფლდება 26
შეღავათი ქონების გადასახადისგან 27
დასკვნა 28

საკანონმდებლო ცვლილებების მიღების კონტექსტის ანალიზი პოლიტიკური რეჟიმების კვლევის პერსპექტივიდან 29

შესავალი 29
საქართველო ავტორიტარიზმის ზღვარზე 30
არადემოკრატიული ძალაუფლების სამი საყრდენი 30
საქართველო - ევრაზიული პატრონალისტური რეჟიმი 31
ნეოლიბერალიზმი და უცხოურ კაპიტალზე დამოკიდებული ეკონომიკა 35
საერთაშორისო ბერკეტები და გეოპოლიტიკური გადალაგება 36
დასკვნა 37

საგადასახადო შეღავათები ოფშორული ქვეყნებისთვის



მოგების გადასახადი საქართველოში და ე.წ. „ესტონური მოდელი “

2017 წლის 1 იანვრამდე საქართველოში მოქმედებდა მოგების გადასახადის სტანდარტული მოდელი, რომლის მიხედვითაც ქართული კომპანიები მოგების გადასახადს მათ მიერ მიღებულ წმინდა მოგებაზე იხდიდნენ. კერძოდ, 2017 წლამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსის თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრებოდა „სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის“.[1]

2017 წლის 1 იანვრიდან, მას შემდეგ, რაც შეიცვალა კანონი, ამოქმედდა მოგების გადასახადის ახალი სისტემა, ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომლის ძირითადი არსი მოგების გადასახადის გადავადებაში მდგომარეობს, მანამ, სანამ კომპანია მიღებულ წმინდა მოგებას დამფუძნებელ ფიზიკურ პირზე, ან არარეზიდენტ საწარმოზე არ გაანაწილებს.[2] მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“

დახმარებით, ქართულ კომპანიას შეუძლია არ გადაიხადოს მოგების გადასახადი, თუკი ის მის მიერ მიღებულ ამ მოგებას ბიზნესში დატოვებს (რეინვესტირება). შესაბამისად, თუკი კომპანია მიღებულ წმინდა მოგებას დივიდენდის სახით არ გაანაწილებს დამფუძნებელზე, კომპანია არ გადაიხდის მოგების გადასახადს. ხოლო, როდესაც კომპანია გადაწყვეტს, გაანაწილოს დაგროვილი მოგება, მას მოუწევს გადასახადის გადახდა იმავე ოდენობით, რაც სტანდარტული მოდელის პირობებში (15%).

მოგების გადასახადის „ესტონური მოდელი“ არ ვრცელდება ყველა გადასახადის გადამხდელზე და ამ მხრივ საგადასახადო კოდექსი ადგენს არაერთ გამონაკლისს. მათ შორის, საგულისხმოა, ფინანსური ინსტიტუტები (ბანკები, საკრედიტო კავშირები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სესხის გამცემი სუბიექტი) და არარეზიდენტი კომპანიები, რომლებიც დარჩნენ მოგების გადასახადის სტანდარტულ მოდელზე. კერძოდ, ფინანსური ინსტიტუტები და არარეზიდენტი საწარმოები, როგორც წესი, მოგების გადასახადს იხდიან მათ წმინდა მოგებაზე, უფრო ზუსტად კი, სხვაობაზე მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული გამოქვითვების თანხებს შორის.

გარდა ამისა, არარეზიდენტი საწარმოების მიერ მიღებული შემოსავლები შეიძლება დაიბეგროს ზოგადი წესით (მაგალითად, შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან), ან სპეციალური წესით (მაგალითად, დივიდენდი, დარიცხული პროცენტი ან როიალტი ინტელექტუალური საკუთრების გამოყენების სანაცვლოდ).

ისეთი აქტიური შემოსავლების შემთხვევაში, როგორიცაა, მაგალითად, შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან, უცხოური საწარმოები იყენებენ სტანდარტულ მოდელს. კერძოდ, საქართველოში არსებული ქონების რეალიზაციის შემთხვევაში, უცხოური საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა ერთობლივ შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით დადგენილ გამოქვითვის თანხებს შორის.

[1] 2017 წლამდე მოქმედი საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.
[2] 2017 წლიდან მოქმედი საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

შეღავათიანი დაბეგვრის მქონე, ანუ ე.წ. „ოფშორული“ ქვეყნები

ქართული კანონმდებლობა არ იცნობს სიტყვა „ოფშორის“ ცნებას და იმას, რასაც „ოფშორად“ მოვიხსენიებთ, საქართველოს საგადასახადო კოდექსი შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანას უწოდებს. საგადასახადო კოდექსი განმარტავს, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებს სხვა სახელმწიფო იმისათვის, რათა ის ჩაითვალოს შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნად ჩვენი კანონმდებლობის მიზნებისთვის. კერძოდ, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნად მიიჩნევა ქვეყანა, რომელშიც:

- იურიდიული პირის მიერ მიღებულ მოგებაზე დაწესებული არ არის მოგების გადასახადი; · იურიდიული პირი თავისუფლდება მოგების გადასახადისგან;
- მოგების გადასახადის განაკვეთი საქართველოში არსებული მოგების გადასახადის განაკვეთის 1/3-ს (ანუ 5%-ს) არ აღემატება.[3]

თავის მხრივ, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნების ჩამონათვალს ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა[4] 2016 წლის 29 დეკემბრის №615 დადგენილებით.[5] აღნიშნული ჩამონათვალი მოიცავს ისეთ ტერიტორიებს, როგორებიცაა ვირჯინიის კუნძულები, კაიმანის კუნძულები, ანდორა, ურუგვაი, ქუვეითი, ბელიზი, ჩილე და სხვ. (სულ 64 ქვეყანა/ტერიტორია).

ამ მხრივ, საგულისხმოა, რომ შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნების რეზიდენტი საწარმოების მიერ საქართველოდან მიღებული შემოსავალი ისევე იბეგრება, როგორც სხვა ქვეყნების რეზიდენტების მიერ მიღებული შემოსავალი, მცირე განსხვავებით. კერძოდ, პასიური შემოსავლების ნაწილში, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში გადახდილი პროცენტი და როიალტი იბეგრება 15%-იანი განაკვეთით, ნაცვლად სტანდარტული 5%-ისა. თუმცა დივიდენდი ამ შემთხვევაშიც 5%-ით იბეგრება. რაც შეეხება აქტივების რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს, ამ მხრივ, დაბეგვრაში არანაირი სხვაობა არ არის. კერძოდ, თუკი შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნის რეზიდენტი საწარმო იყიდის ქართული კომპანიის წილს/აქციებს, ხოლო მოგვიანებით იმავე წილს/აქციებს უფრო მაღალ ფასად გაყიდის, მისი წმინდა მოგება იქნება სხვაობა სარეალიზაციო ფასსა და შესყიდვის ფასს შორის და ეს საწარმო საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ამ მოგების 15%-ს გადაიხდის.

„ოფშორულ“ კომპანიებთან დაკავშირებით საგადასახადო კოდექსში გატარებული საკანონმდებლო ცვლილებები

საქართველოს პარლამენტის წევრებმა, პაატა კვიჟინაძემ, ანტონ ობოლაშვილმა, ირაკლი კირცხალიამ, ბეჟან წაქაძემ, ზაალ მიქელაძემ, ირაკლი ზარქუამ და გოგი მეშველიანმა „ოფშორული“ კომპანიების შესახებ კანონპროექტი საქართველოს პარლამენტს 2024 წლის 10 აპრილს წარუდგინეს. პარლამენტმა „ოფშორული“ კომპანიების შესახებ კანონპროექტი დაჩქარებული წესით განიხილა და კანონპროექტის რეგისტრაციიდან მე-9 დღეს, 19 აპრილს, პარლამენტმა იგი მესამე მოსმენით მიიღო.

2024 წლის 2 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა მოტივირებული შენიშვნებით დაუბრუნა პარლამენტს კანონის პროექტი და ოფშორულ ქვეყანაში რეგისტრირებულ კომპანიებთან დაკავშირებული საგადასახადო კანონპროექტიდან შეღავათების ამოღება შესთავაზა.[6] საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის (წამყვანი კომიტეტი) 2024 წლის 21 მაისის დასკვნით, კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებს,[7] ხოლო 2024 წლის 29 მაისს პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე დაძლია პრეზიდენტის ვეტო და მხარი დაუჭირა კანონპროექტის პირველად ვერსიას.[8]

[3] საგადასახადო კოდექსის 982 მუხლის მე-5 ნაწილი.
[4] საგადასახადო კოდექსის 982 მუხლის მე-10 ნაწილი.
[5] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/3523434?publication=0#DOCUMENT:1
[6] https://parliament.ge/legislation/28600
[7] https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/362587
[8] https://shorturl.at/JnWQO

საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლს (გარდამავალი დებულებები) ემატება შემდეგი შინაარსის 146-ე ნაწილი:

„შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს ყველა აქტივზე (მათ შორის, წილზე/აქციაზე) საკუთრების უფლების საქართველოს საწარმოსთვის 2028 წლის 1 იანვრამდე გადაცემის შემთხვევაში:

ა) ამ უცხოური საწარმოს და მისი პარტნიორი ფიზიკური პირის მიერ აღნიშნული ოპერაციის ფარგლებში მიღებული შემოსავალი/სარგებელი, რომელიც ამ კოდექსის მიზნებისთვის საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად მიიჩნევა, გათავისუფლებულია მოგების/საშემოსავლო გადასახადისგან;

ბ) აქტივის/საქონლის საქართველოში შემოტანა/იმპორტი გათავისუფლებულია იმპორტის გადასახდელისგან. ამ ქვეპუნქტის გამოყენების წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

გ) საქართველოს საწარმო ამ ოპერაციის ფარგლებში მიღებულ აქტივთან დაკავშირებით 2030 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებულია ქონების გადასახადისგან.

შენიშვნა:

1. ეს ნაწილი გამოიყენება, თუ:

ა) შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებულ უცხოურ საწარმოსა და საქართველოს საწარმოში წილის/აქციების 100 პროცენტს ერთი და იგივე ფიზიკური პირი (ფიზიკურ პირთა ჯგუფი) ფლობს;

ბ) ხდება ისეთი აქტივის გადაცემა, რომელიც შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებულ უცხოურ საწარმოს საკუთრებაში აქვს ამ ნაწილის ამოქმედების დღისთვის.

2. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში აქტივის მიმღები მხარისთვის აქტივის ღირებულება იგივეა, რაც მიმწოდებელი მხარისთვის მისი ღირებულება ამ აქტივის გადაცემის მომენტისთვის“.

რა შედეგები მოაქვს ახალ კანონს

კანონის განმარტებითი ბარათი

„ოფშორული“ კომპანიების შესახებ საგადასახადო კოდექსის ცვლილებების კანონპროექტს თან ახლავს განმარტებითი ბარათი, რომლის თანახმადაც, საქართველოში ინვესტიციას ხშირად აბანდებენ შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში (ოფშორში) რეგისტრირებული უცხოური საწარმოები, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ შვილობილი საწარმოების მეშვეობით, რაც შეიცავს გადასახადისგან თავის არიდების რისკს და ხელს უშლის ეფექტიან საგადასახადო ადმინისტრირებას. ამის გათვალისწინებით, გადასახადისგან თავის არიდების პრევენციისთვის, საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და გადასახადის ადმინისტრირების გამარტივებისთვის, მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული კომპანიებიდან აქტივების საქართველოში გადმოტანის პროცესს.

განმარტებით ბარათში ასევე მითითებულია, რომ ე.წ. „ოფშორული კომპანიის“ მიერ ყველა აქტივის საქართველოში გადმოტანის პროცესი შესაძლებელია შეაფერხოს იმ საგადასახადო ვალდებულებებმა, რომლებიც ამ აქტივების გადაცემისას წარმოიშობა. საკანონმდებლო ცვლილების მიზანია, წაახალისოს შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოდან აქტივების საქართველოში გადმოტანის პროცესი, ამ ოპერაციებზე დროებითი სა-

გადასახადო შეღავათების დადგენის გზით.

შესაბამისად, კანონის ავტორები აცხადებენ, რომ კანონის ძირითადი მიზანია ოფშორული კომპანიების აქტივებზე საკუთრების უფლების ქართულ კომპანიებზე გადმოსვლის ხელშეწყობა საგადასახადო შეღავათების დაწესების მიზნით. ამ ლოგიკის გასააზრებლად, საჭიროა დავადგინოთ მინიმუმ ორი რამ:

- ოფშორული კომპანიების მიერ ქართულ კომპანიებზე აქტივების გადაცემა დღეს დაბეგვრის გარეშე შეუძლებელია;
- საგადასახადო კოდექსში ახალი ცვლილება შესაძლებელს გახდის აქტივების დაუბეგრავად გადაცემას.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ოფშორული კომპანიის მიერ საქართველოში არსებული აქტივის რეალიზაციის შემთხვევაში, მისი მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სხვაობა ამ ქონების სარეალიზაციო ფასსა და შესყიდვის ფასს შორის (ნამეტი შემოსავალი). საკანონმდებლო ცვლილების თანახმად კი, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს ყველა აქტივზე (მათ შორის, წილზე/აქციაზე) საკუთრების უფლების საქართველოს საწარმოსთვის 2028 წლის 1 იანვრამდე გადაცემის შემთხვევაში, ამ უცხოური საწარმოს მიერ აღნიშნული ოპერაციის ფარგლებში მიღებული შემოსავალი/სარგებელი, გათავისუფლებულია მოგების/საშემოსავლო გადასახადისგან. ანუ, ახალი კანონის ფარგლებში, ამავე კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ოფშორულ კომპანიას აღარ მოუწევს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ზემოთ ნახსენებ ნამეტ შემოსავალზე მოგების გადასახადის გადახდა.

თუმცა, საგულისხმოა ის, რომ ოფშორულ კომპანიას ამ საკანონმდებლო ცვლილების გარეშეც შეუძლია ქართულ კომპანიას დაუბეგრავად გადასცეს თავისი აქტივები, მაგალითად, ამ აქტივების ქართული კომპანიის კაპიტალში შეტანის, ოფშორული კომპანიის ლიკვიდაციისა და მის საკუთრებაში არსებული აქტივების დამფუძნებელ ფიზიკურ პირზე გადაცემის გზით.

შესაბამისად, კანონის ერთადერთი სიახლეა ოფშორული კომპანიის მოგების გადასახადისაგან გათავისუფლება აქტივის ნასყიდობის საფუძველზე გადაცემის შემთხვევაში.

გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ საკანონმდებლო ცვლილება არანაირ რეალურ მოტივაციას/სტიმულს არ ქმნის ოფშორული კომპანიიდან საქართველოში აქტივის გადმოსატანად. კერძოდ, შეღავათი გათვალისწინებულია თავად აქტივების გადმოტანის ოპერაციაზე. აქტივების გადმოტანის შემდეგ კი, დაბეგვრის რეჟიმი ფაქტობრივად იგივე რჩება.

რომ შევაჯამოთ, კანონით რეალურად არ მიიღწევა ის მიზანი, რომელიც განმარტებით ბარათშია მითითებული. ერთი მხრივ, იმიტომ, რომ ოფშორული ქვეყნებიდან საქართველოში აქტივების დაუბეგრავად გადმოტანა ამ ცვლილების გარეშეც შესაძლებელია. მეორე მხრივ კი, იმიტომ, რომ ცვლილება არ წარმოქმნის რეალურ მოტივაციას აქტივების საქართველოში გადმოსატანად, რადგან დაბეგვრის რეჟიმი უცვლელი რჩება და გადასახადისაგან თავისუფლდება მხოლოდ თავად აქტივების გადმოტანის ოპერაცია.

კანონის რეალური შედეგი - საქართველოდან მოგების დაუბეგრავად გატანა?

საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, საგადასახადო შეღავათი ეხება ოფშორული კომპანიის მიერ ქართული კომპანიისათვის ისეთი აქტივების გადაცემას, რომელთა რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალიც საგადასახადო კოდექსის მიზნებისთვის საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად მიიჩნევა.

საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 104-ე მუხლი. ამ მუხლის თანახმად, საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავლად ითვლება შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან, თუ საქონლის მიწოდება (საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემა) ხდება საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოში არსებული წყაროდან მიღებულ შემოსავალს ასევე განეკუთვნება რეზიდენტი კომპანიის წილის/აქციის გაყიდვით მიღებული შემოსავალი.

შესაბამისად, მოგების გადასახადის ნაწილში დადგენილი შეღავათი არ ეხება უცხოეთში არსებული აქტივების ან უცხოური კომპანიის წილების მიწოდებას. ოფშორული კომპანია ამ შეღავათებით ისარგებლებს იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ქართული კომპანიისთვის გადაცემული აქტივი საქართველოშია - მაგალითად, საქართველოში არსებული უძრავი/მოძრავი ქონება ან/და საქართველოს რეზიდენტი კომპანიის წილი. შესაბამისად, მოგების გადასახადის ნაწილში საგადასახადო შეღავათი ეხება არა უცხოეთში არსებული აქტივების საქართველოში გადმოტანას, არამედ საქართველოში არსებული აქტივების პირდაპირი მესაკუთრის ცვლილებას მხოლოდ იმ პირობით, თუ აქტივების ბენეფიციური მფლობელი იგივე ფიზიკური პირი/პირთა ჯგუფი იქნება.

მნიშვნელოვანია ის, რომ ქართული კომპანიის მიერ ოფშორული კომპანიისაგან აქტივის შეძენას თან ახლავს ამ ქართული კომპანიის მიერ ოფშორული კომპანიისათვის შესაბამისი თანხის, ნასყიდობის ფასის გადახდა. საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად კი, საქართველოდან ეს თანხა ოფშორულ კომპანიაში გადავა დაუბეგრავად.

ამ გზით, საკანონმდებლო ცვლილება იძლევა საშუალებას, რომ ქართული საწარმოს მიერ დაგროვილი მოგება, რომლის დამფუძნებელზე განაწილებაც დაიბეგრებოდა მოგების გადასახადით, საქართველოდან გავიდეს დაუბეგრავად, ნასყიდობის ღირებულების სახით. კერძოდ, ქართული საწარმო, რომელიც დააგროვებს მოგებას, ამ მოგების დივიდენდის სახით განაწილების ნაცვლად, საკუთარი დამფუძნებლისგანვე იყიდის საქართველოშივე არსებულ ქონებას. ამ გზით, ქართული კომპანიის მიერ დაგროვილი მოგება ოფშორულ ქვეყანაში გადავა როგორც ნასყიდობის ღირებულება, რაც საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, მოგების გადასახადით არ იბეგრება.

შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილების ირიბი შედეგია ის, რომ თუ საქართველოში არსებული ბიზნესიდან ოფშორში გატანილი მოგება აქამდე 19.25%-ით დაიბეგრებოდა,[9] ცვლილებების შემდეგ ამ მოგების გატანა აღარ დაიბეგრება. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ბიზნესის სტრუქტურის შეცვლა მისი საბოლოო ბენეფიციარის უცვლელად და დაგროვილი მოგების გატანა ნასყიდობის ღირებულების სახით, ნაცვლად დივიდენდისა.

კანონის გავლენა სამომავლო ქონებაზე

კანონის თანახმად, საგადასახადო შეღავათი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაიცემა ისეთი აქტივი, რომელიც შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებულ უცხოურ საწარმოს საკუთრებაში აქვს ამ კანონის ამოქმედების დღისთვის. ამ გზით, კანონმდებელი, ერთი შეხედვით, შეღავათს ერთჯერადს ხდის და მას არ ავრცელებს სამომავლო აქტივებზე.

თუმცა, კანონის თანახმად, შეღავათით სარგებლობის მიზნით, ოფშორულმა კომპანიამ უნდა გაასხვისოს კანონის ამოქმედების მომენტში მის საკუთრებაში არსებული აქტივები (მათ შორის, წილები/აქციები - ანუ შვილობილი კომპანიები). საკანონმდებლო ცვლილება კი არ ზღუდავს თავად ამ შვილობილი კომპანიის მი-

[9] მოგების 15% და დივიდენდის 5% განაკვეთების ჯამური სალდირებული შედეგი.

ერ ახალი აქტივების შეძენას.

შესაბამისად, თუ ოფშორულმა კომპანიამ საქართველოში შვილობილი კომპანია კანონის ამოქმედებამდე დააფუძნა, შეღავათი, მათ შორის, გავრცელდება ამ შვილობილი კომპანიის წილების 2028 წლამდე გაყიდვაზეც. შედეგად, კანონის ამოქმედებიდან 2028 წლის 1 იანვრამდე (შეღავათის მოქმედების ვადა) ოფშორული კომპანიის შვილობილ კომპანიას საშუალება აქვს, საქართველოში აწარმოოს ბიზნესი, დააგროვოს მოგება და შემდგომ, ზემოთ აღწერილი სქემით (შვილობილი კომპანიის წილის რეალიზაციით) საქართველოდან დაუბეგრავად გაიტანოს ეს მოგება.

იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლება

საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, ოფშორული კომპანიის მიერ ქართული კომპანიისთვის აქტივის/საქონლის საქართველოში შემოტანა/იმპორტი გათავისუფლებულია იმპორტის გადასახდელებისგან. იმპორტის გადასახდელებში იგულისხმება ის სამი გადასახადი - იმპორტის გადასახადი, აქციზი და დამატებული ღირებულების გადასახადი - რომელთა გადახდაც შეიძლება დაეკისროს იმპორტიორს.

იმპორტის გადასახადით და აქციზით იბეგრება მხოლოდ კონკრეტული საქონელი, რომელთა ამომწურავი ჩამონათვალი მოცემულია საქართველოს გადასახადო კოდექსში (188, 1881 და 197 მუხლები), ხოლო დღგ-ით იბეგრება ნებისმიერი საქონლის იმპორტი, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსი ამოქმედების დღიდანვე (2011 წლის 1 იანვარი) ითვალისწინებდა ფასიანი ქაღალდების და სამოქალაქო თვითმფრინავების იმპორტის დღგ ისაგან გათავისუფლე[ბას.10] კოდექსში 2012 წლის 29 მაისს შესული ცვლილებე[ბის11] შედეგად დღგ-ით აღარ იბეგრება არც იახტების იმპორტი. ამასთანავე, სამოქალაქო თვითმფრინავები, იახტები და ფასიანი ქაღალდები არც იმპორტის გადასახადითა და აქციზით იბეგრება.

აქვე, საგულისხმოა, რომ კოდექსის 188 და 1881 მუხლების მიხედვით აქციზით ძირითადად იბეგრება ალკოჰოლური სასმელები, თამბაქოს ნაწარმი და ნავთობპროდუქტები, ასევე ავტომობილების/მოტოციკლების იმპორტი. ავტომობილებზე აქციზის განაკვეთი დაითვლება ძრავის მოცულობით და არა მისი ღირებულე[ბით.12] თავის მხრივ, მსუბუქი ავტომობილები დღგ-ით არ იბეგრება. შედეგად, ძვირადღირებული ავტომობილების იმპორტზე ქართულ საგადასახადო კანონმდებლობას განსაკუთრებული ფინანსური ეფექტი არ აქვს.

ვინაიდან თვითმფრინავების, იახტების, მანქანებისა და ფასიანი ქაღალდების იმპორტზე საგადასახადო კოდექსში შეტანილ ცვლილებებს არანაირი ეფექტი არ აქვს, და უძრავი ქონების იმპორტიც შეუძლებელია, სავარაუდოა, რომ ამ კონკრეტული შეღავათის მიზანია ისეთი მოძრავი ქონების იმპორტის გადასახდელებისაგან გათავისუფლება, რომელსაც აქვს დიდი ღირებულება და რომლის იმპორტიც კოდექსში შეტანილი ცვლილებების გარეშე იბეგრება იმპორტის გადასახდელებით. ასეთი მოძრავი ქონებაა, მაგალითად:

- ძვირფასი ლითონები (ოქრო, ვერცხლი, პლატინა) და ძვირფასი ქვები (ალმასი, მარგალიტი, სხვ.), რომელთა იმპორტი იბეგრება დღგ-ით 18%-იანი განაკვეთით. ამასთანავე, ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობები დამატებით იბეგრება იმპორტის გადასახადით 12%-იანი განაკვე[თით;13]
- ხელოვნების ნიმუშები, საკოლექციო ნივთები და ანტიკვარიატი, რომლის იმპორტი იბეგრება დღგ-ით 18%-იანი განაკვეთით.

[10] დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსის 173.ო და 173.ტ მუხლები.
[11] https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1661811?publication=0
[12] საგადასახადო კოდექსის 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილში მოცემული ცხრილის მე-4 პუნქტი.
[13] საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის 1-ლ ნაწილში მოცემული ცხრილის 158-ე პუნქტი.

ეს არის საქონლის ისეთი სახეები, რომელთა ოფშორულ ქვეყნებში არსებობა მეტად სავარაუდო/რეალისტურია, და რომელთა ტრანსპორტირება/შენახვაც შედარებით იაფია მათი ზომიდან გამომდინარე, საგადასახადო ეფექტი ყველაზე დიდია მათი ღირებულებიდან გამომდინარე, და რაც მთავარია, ეს ისეთი აქტივებია, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკაში არ მონაწილეობს.

ქონების გადასახადისაგან გათავისუფლება

საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, ქართული კომპანია ოფშორული კომპანიისაგან მიღებულ აქტივთან დაკავშირებით 2030 წლის 1 იანვრამდე გათავისუფლებულია ქონების გადასახადისგან.

ქართული კომპანიები ზოგადად ქონების გადასახადით მათ ძირითად საშუალებებზე (მატერიალური აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის, იჯარით გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისათვის) და საინვესტიციო ქონებაზე (მიწა ან შენობა, რომელსაც ფლობენ საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით) იბეგრება.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართული კომპანიები ქონების გადასახადს იხდიან საქართველოში არსებულ იმ მატერიალურ აქტივებზე, რომლებსაც ეს კომპანიები თავიანთ ბიზნესსაქმიანობაში იყენებენ, ასევე მათ საკუთრებაში არსებულ მიწაზე. არამატერიალურ აქტივებზე (ფასიანი ქაღალდები, კომპანიის წილები/აქციები, ინტელექტუალური საკუთრება და სხვ.) ქონების გადასახადი არ გადაიხდება.

შესაბამისად, შეღავათის გამოსაყენებლად ოფშორული კომპანიის საკუთრებაში უნდა იყოს მატერიალური ქონება და ეს ქონება გადაეცეს ქართულ საწარმოს. არამატერიალური ქონების გადაცემის ნაწილში საკანონმდებლო ცვლილება უშედეგოა.

მაგალითად, თუ ოფშორული კომპანიის საკუთრებაშია ქართული კომპანიის წილი და ის ამ წილს გაასხვისებს სხვა ქართულ საწარმოზე, ქონების გადასახადის შეღავათი ამ შემთხვევაში ირელევანტური იქნება, რადგან კომპანიის წილები ისედაც არ იბეგრებოდა ქონების გადასახადით. თუმცა, თუ ოფშორული კომპანიის საკუთრებაშია, მაგალითად, საქართველოში არსებული უძრავი ქონება, და ამ ქონების მესაკუთრე გახდება ქართული საწარმო, მაშინ ქართულ საწარმოს შეუძლია აღარ გადაიხადოს ქონების გადასახადი ამ ქონებაზე.

შედეგად, პირს, რომელიც საქართველოში ოფშორული კომპანიის გავლით ფლობს აქტივებს, შეუძლია ეს აქტივები გადაიტანოს მისსავე შვილობილი ქართული საწარმოს საკუთრებაში, ბიზნესის საბოლოო მესაკუთრის ცვლილების გარეშე. შედეგად კი იმ აქტივებზე, რომლებიც ისედაც საქართველოში გამოიყენება, მომდევნო 6 წლის განმავლობაში აღარ გადაიხადოს ქონების გადასახადი.

ფულის გათეთრების რისკების ზრდა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ფულის გათეთრება არის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა.

ფულის გათეთრებას აქვს თანმდევი ხარჯი - თეთრი ფული, ანუ ლეგალური გზებით მიღებული შემოსავალი იბეგრება გადასახადებით. ამიტომ, ყოველთვის არსებობს მოტივაცია, რომ ფული გათეთრდეს ისეთ ქვეყნებში, სადაც დაბალია საგადასახადო ტვირთი, ან სადაც მიღებული მოგება სრულად თავისუფლდება მოგების გადასახადისაგან.

როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, საკანონმდებლო ცვლილება საშუალებას იძლევა ქართულმა საწარმომ მიიღოს მოგება და შემდეგ ეს მოგება ოფშორულ ქვეყანაში გადაიტანოს დაუბეგრავად.

შესაბამისად, მართალია, საკანონმდებლო ცვლილება ფულის გათეთრების რაიმე ახალ სქემას არ ქმნის, თუმცა ის საშუალებას იძლევა საქართველოში ფული გათეთრდეს ბიუჯეტში გადასახადების გადაუხდელად. ამიტომ, სწორედ ფულის გათეთრების ამ სიიაფემ, შესაძლოა, გააჩინოს დამატებითი მოტივაცია, რომ დანაშაულებრივმა ჯგუფებმა, სხვა იურისდიქციების ნაცვლად, სწორედ საქართველო აირჩიონ ფულის გასათეთრებლად.

საგადასახადო შეღავათი თუ გადასახადებისაგან თავის არიდების დაკანონებული სქემა?

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს ე.წ. შინაარსის ფორმაზე აღმატებულობის პრინციპს, რომლის თანახმადაც შემოსავლების სამსახურს უფლება აქვს უგულებელყოს გარიგების ფორმა, თუ ის არ შეესაბამება მის შინაარსს. ანუ, ბიზნესოპერაცია დაბეგროს ამ ოპერაციის რეალური ეკონომიკური შინაარსის და არა მისი ფორმალური სახელის შესაბამისად.

ზემოაღნიშნული მუხლის აღსრულების მიზნით, შემოსავლების სამსახურის 2022 წლის 28 ივლისის №20231 ბრძანებით[14] დამტკიცდა სამეურნეო ოპერაციის კვალიფიკაციის ცვლილების შესახებ მეთოდური მითითება.

მეთოდურ მითითებაში, სხვა საკითხებთან ერთად, მოცემულია მაგალითები, რომლებსაც შემოსავლების სამსახური იყენებს იმის საილუსტრაციოდ, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს საეჭვო ტრანზაქციად და რა შეიძლება მიიჩნეოდეს არა ნამდვილ სამეურნეო ოპერაციად, ბიზნესგარიგებად, არამედ გადასახადებისაგან თავის არიდების სქემად.

ნიშანდობლივია, რომ მეთოდურ მითითებაში მოყვანილი პირველივე მაგალითი თითქმის იდენტურად იმეორებს საკანონმდებლო ცვლილებით შემუშავებულ სქემას. კერძოდ, მეთოდურ მითითებაში მოყვანილი მაგალითის თანახმად, ფიზიკურ პირთა ერთი ჯგუფი ფლობს წილებს ორ კომპანიაში - შპს „A-ში“ და შპს „B-ში“. შემდეგ იდება ნასყიდობის ხელშეკრულება შვილობილ კომპანია შპს „A-თან“, რომლის საფუძველზეც იგი თავისი დამფუძნებლებისაგან 300’000 ლარად ყიდულობს შპს „B-ს“ 100%-იან წილს. შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებით შემოთავაზებული სქემის მსგავსად, მეთოდურ მითითებაში მოყვანილ მაგალითშიც, გაყიდული საწარმოს საბოლოო მესაკუთრედ რჩებიან იგივე ფიზიკური პირები და იცვლება მხოლოდ კომპანიების ფლობის სტრუქტურა, რის სანაცვლოდაც წილის გამყიდველი პირები იღებენ 300’000 ლარს ნასყიდობის საფასურის სახით.

მოცემული მაგალითის შეფასებაში კი, შემოსავლების სამსახური უთითებს შემდეგს: „ზოგადად, ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, როგორც სამართლებრივი ინსტრუმენტი, გამოიყენება იმ ტიპის სამეურნეო ოპერაციების გასაფორმებლად, რა დროსაც, საკუთრების საგანზე ხდება მესაკუთრე სუბიექტის (პირის) შეცვლა. მოცემულ პირობებში, ვინაიდან წილის გამსხვისებელი ფიზიკური პირები ირიბად კვლავ სრულად ფლობენ შპს „B-ს“ 100%-იან წილს, ანუ რეალურად არ ხდება განსახილველი ქონების (წილის) მესაკუთრის ცვლილება, მოცემული ოპერაცია, გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისათვის, მიჩნეულ უნდა იქნას საეჭვო სამეურნეო ოპერაციად, ვინაიდან, აღნიშნული სამეურნეო ოპერაციის რეალურ მიზანს (შინაარსს), შესაძლოა, წარმოადგენდეს ფიზიკურ პირებზე დივიდენდების დაუბეგრავად გაცემა“.

[14] https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/45b90f02-cd41-4ae0-9002-13b9d44a3a25?openFromSearch=true

საკანონმდებლო ცვლილებით განსაზღვრული სქემაც იმავეს ითვალისწინებს, რასაც მეთოდურ მითითებაში მოხმობილი საილუსტრაციო მაგალითი. კერძოდ, იდება ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის შედეგადაც გასხვისებული ქონების არაპირდაპირი მესაკუთრე იგივე ფიზიკური პირია, ანუ რეალური მესაკუთრე არ იცვლება. ამასთანავე, ამ ოპერაციის განხორციელების შედეგად, კომპანიის საბოლოო ბენეფიციარ ფიზიკურ პირზე დივიდენდები დაუბეგრავად გაიცემა. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის მიერ შემოთავაზებული სტრუქტურა შემოსავლების სამსახურს ჯერ კიდევ 2022 წელს აქვს შეფასებული გადასახადებისაგან თავის არიდების სქემად.

თუმცა, ამჯერად, საკანონმდებლო ცვლილება ამ სქემას კანონიერად აქცევს, რადგან ცვლილების თანახმად, საგადასახადო შეღავათით სარგებლობის პირდაპირი მოთხოვნაა, რომ ნასყიდობის შედეგად აქტივის რეალური მესაკუთრე არ იცვლებოდეს და მხოლოდ თანხა გადაიცემოს დაუბეგრავად. კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, შეღავათი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებულ უცხოურ საწარმოსა და საქართველოს საწარმოში წილის/აქციების 100 პროცენტს ერთი და იგივე ფიზიკური პირი (ფიზიკურ პირთა ჯგუფი) ფლობს.

ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული შეღავათით სარგებლობის ინსტრუქცია

2024 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 1 ოქტომბრის №329 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ამ ცვლილების შედეგად, „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ბრძანებას დაემატა 111[15] მუხლი, რომელიც დასათაურებულია როგორც „საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 146-ე ნაწილით გათვალისწინებული გადასახადებისაგან/გადასახდელებისაგან გათავისუფლების წესი და პირობები“. შესაბამისად, ახალი მუხლით ფინანსთა მინისტრი ადგენს იმ წესებს და პირობებს, რომელთა დაცვითაც უნდა ისარგებლონ ოფშორულმა კომპანიებმა დაწესებული შეღავათებით.

ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესებისა და პირობების მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ იმპორტის გადასახდელებისაგან გათავისუფლების მიზნით, იმპორტიორი ვალდებულია საგადასახადო ორგანოს წინასწარ წარუდგინოს განცხადება შესაბამის დოკუმენტებთან ერთად. შემოსავლების სამსახური 10 სამუშაო დღის ვადაში შეისწავლის განცხადებას და თუ ის აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს, მიიღებს გადაწყვეტილებას საქონლის იმპორტის გადასახდელისგან გათავისუფლების თაობაზე.

ფინანსთა მინისტრის ბრძანების მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ ბრძანებით დადგენილია შეღავათით სარგებლობის დამატებითი მოთხოვნა. კერძოდ, ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში მითითებულია, რომ კანონით გათვალისწინებული შეღავათით სარგებლობისათვის აუცილებელია, აქტივების გადაცემა განხორციელდეს უსასყიდლოდ. ეს მოთხოვნა ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის იმ საგადასახადო სქემით სარგებლობას, რომელიც ზემოთ განვიხილეთ და ხელს უშლის საქართველოდან მოგების დაუბეგრავად გატანას. ამ მხრივ, ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში შესული ცვლილება შეიძლება ერთი შეხედვით დადებითად შეფასდეს, როგორც გადასახადების თავიდან არიდების სქემის ჩამკეტი მექანიზმი. თუმცა არსებობს რამდენიმე პრობლემა, რომელიც თან ახლავს ამ მნიშვნელოვანი კრიტერიუმის ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში ამ ფორმით და ამ დროს შემოღებას:

[15] https://www.oecd-ilibrary.org/taxation/harmful-tax-competition_9789264162945-en

კოლიზია კანონსა და ბრძანებას შორის

შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნის რეზიდენტი საწარმოს მიერ ქართული საწარმოსთვის აქტივების გადაცემის გადასახადისაგან გათავისუფლების დადგენისას, კანონით ესა თუ ის შეზღუდვა მიწოდების ფორმასთან დაკავშირებით დადგენილი არ არის. ერთი მხრივ, საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 146-ე ნაწილი წერს, რომ გადასახადებისაგან თავისუფლდება უცხოური საწარმოს მიერ ქართული საწარმოსათვის აქტივებზე საკუთრების უფლების გადაცემა და დაკონკრეტებული არ არის, რომ ეს გადაცემა უნდა იყოს უსასყიდლო. მეორე მხრივ, ამავე ნორმის შენიშვნაში მითითებულია, თუ რა შემთხვევაში გამოიყენება ეს წესი - ანუ, დადგენილია შეღავათით სარგებლობის კრიტერიუმები, თუმცა არცერთი ეს კრიტერიუმი არ ადგენს საქონლის უსასყიდლოდ მიწოდების ვალდებულებას.

გარდა ამისა, 309-ე მუხლის 146-ე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში, რომელიც ადგენს შეღავათს იმპორტის გადასახადების ნაწილში, პირდაპირ არის მითითებული: „ამ ქვეპუნქტის გამოყენების წესსა და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი“. შესაბამისად, კანონმა ფინანსთა მინისტრს მიანიჭა უშუალო უფლებამოსილება, დაედგინა იმპორტის გადასახდელებისაგან გათავისუფლებისათვის საჭირო წესები და პირობები. სხვა შემთხვევაში - მათ შორის, მოგების გადასახადისაგან გათავისუფლების ნაწილში - კანონს ფინანსთა მინისტრისათვის ამგვარი უფლებამოსილება არ მიუნიჭებია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საგადასახადო კოდექსის 127-ე მუხლი არეგულირებს ურთიერთდამოკიდებულ პირებს შორის დადებული გარიგებების ფასის შეფასების პრინციპებს. ამ მუხლის თანახმად, თუ ქართული საწარმო გარიგებას დებს ურთიერთდამოკიდებულ უცხოურ საწარმოსთან, ორივე მხარემ თავისი მოგება უნდა განსაზღვროს საბაზრო პრინციპების შესაბამისად.

სხვანაირად რომ ვთქვათ, საგადასახადო კოდექსი ითხოვს, რომ გარიგება ასეთ მხარეებს შორის საბაზრო ფასით დაიდოს. შესაბამისად, ფინანსთა მინისტრის ბრძანების მოთხოვნა - მიწოდება განხორციელდეს უსასყიდლოდ - ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნას, გარიგება საბაზრო ფასით დაიდოს.

შესაბამისად, ფინანსთა მინისტრმა ისე დაადგინა მოგების გადასახადის ნაწილში შეღავათით სარგებლობის წესები და პირობები, რომ კანონით ასეთი უფლებამოსილება გათვალისწინებული არ ყოფილა. მეტიც, ფინანსთა მინისტრმა ფაქტობრივად შეზღუდა კანონით დადგენილი შეღავათის მოქმედების არეალი, თანაც ისე, რომ შეზღუდვის ფორმა - საქონლის უსასყიდლოდ მიწოდების მოთხოვნა - პირდაპირ ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს.

აქედან გამომდინარე, არსებობს შანსი იმისა, რომ შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყნის რეზიდენტმა თავისი ყველა აქტივი ქართულ საწარმოს მიაწოდოს სასყიდლით და კანონზე მითითებით მაინც შეძლოს საგადასახადო შეღავათით სარგებლობა. კერძოდ, ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ.

ამიტომ, თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი (ამ შემთხვევაში მინისტრის ბრძანება) ეწინააღმდეგება კანონს, გამოიყენება კანონი და უპირატესი ძალა მას მიენიჭება. ხოლო კანონის თანახმად და მინისტრის ბრძანების საპირისპიროდ, საგადასახადო შეღავათის მისაღებად აუცილებელ წინაპირობას არ წარმოდგენს გარიგების უსასყიდლოდ დადება.

კანონისა და მინისტრის ბრძანების ძალაში შესვლის პერიოდები

გარდა ამისა, კანონით გათვალისწინებული შეღავათის ამოქმედებიდან (საგადასახადო კოდექსში ცვლილების განხორციელებიდან) მინისტრის ბრძანებით ახალი წესის შემოღებამდე ოთხთვიანი შუალედი იყო. კერძოდ, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილება (შეღავათი) საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა 2024 წლის 4 ივნისს და ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე - შესაბამისად, 4 ივნისს. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება, რომლითაც დადგინდა მიწოდების უსასყიდლოდ მიწოდების ვალდებულება, საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა 2024 წლის 2 ოქტომბერს და ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე - 2 ოქტომბერს.

შედეგად, 2024 წლის 4 ივნისიდან 2024 წლის 2 ოქტომბრამდე მოქმედებდა მხოლოდ კანონით გათვალისწინებული შეღავათი, რომელშიც საქონლის უსასყიდლოდ მიწოდების ესა თუ ის ვალდებულება დადგენილი არ ყოფილა. შედეგად, იმ ტრანზაქციების მიმართ, რომლებიც ამ ოთხთვიან შუალედში განხორციელდა, ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი დამატებითი მოთხოვნები ვერ გავრცელდება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადასახადებით დაბეგვრისათვის გამოიყენება საგადასახადო ვალდებულების წარმოშობის დღისათვის მოქმედი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა. ამდენად, თუკი ტრანზაქცია ამ ოთხთვიან შუალედში განხორციელდა, ამ ტრანზაქციის დაბეგვრის მიზნებისთვის გამოსაყენებელი საკანონმდებლო საფუძველი ვერ იქნება ფინანსთა მინისტრის მიერ შემდგომ პერიოდში დადგენილი წესი.

საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისობა OECD-ის პოლიტიკასთან

მსოფლიოში გლობალიზაციის დაწყებამდე, საერთაშორისო ვაჭრობისა და კომუნიკაციის სისტემების განვითარებამდე ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა ძირითადად დამოკიდებული იყო თავად ამ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე და გავლენას ახდენდა ძირითადად ამავე ქვეყანაზე. თუმცა გლობალიზაციის პირობებში, როდესაც აქტიურად მიმდინარეობს სავაჭრო ურთიერთობები მსოფლიოს ყველა ქვეყანას შორის, როდესაც არსებობს მულტინაციონალური კომპანიები, რომლებიც ბიზნესსაქმიანობას აწარმოებენ რამდენიმე ქვეყანაში, თითოეული ქვეყნის საგადასახადო სისტემის შედეგები ბევრად სცილდება თავად ამ ქვეყნის ფარგლებს და გავლენას ახდენს სხვა ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურ და ფინანსურ ვითარებაზე.

მულტინაციონალური კომპანიები მიმართული არიან გადასახადების ოპტიმიზაციისაკენ და ცდილობენ, ბიზნესი ან მისი ადმინისტრირების ცენტრი მოაწყონ ისეთ ქვეყანაში, სადაც საგადასახადო ტვირთი ბევრად ნაკლებია. ამის საპასუხოდ და მულტინაციონალური კომპანიების თავიანთ ქვეყანაში მოსაზიდად, ზოგიერთ ქვეყანას~ შემოღებული აქვს სპეციალური საგადასახადო საშეღავათო რეჟიმები. ასეთი რეჟიმები, შესაძლოა, უარყოფით ეფექტს ახდენდეს სხვა ქვეყნების ეკონომიკაზე და ქმნიდეს ქვეყნებს შორის არაკეთილსინდისიერ კონკურენციას.

საშეღავათო საგადასახადო რეჟიმი, შესაძლოა, ქვეყანაში მოქმედებდეს საერთო წესით ყველასთვის, დაწესებული იყოს კონკრეტული ბიზნესაქტივობისთვის, შემოღებული იყოს კონკრეტული პირებისთვის და ა.შ. თითოეული ასეთი შემთხვევა წარმოადგენს პოტენციურად მავნე საგადასახადო პრაქტიკას, რომელიც, შესაძლოა, აზიანებდეს სხვა ქვეყნების ეკონომიკას.

ამგვარი მავნე საგადასახადო პრაქტიკის მნიშვნელობასა და მისი დამატებითი კვლევის საჭიროებასთან დაკავშირებით, 1998 წელს, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (შემდგომში „OECD“) გამოაქვეყნა დოკუმენტი დასახელებით, „Harmful Tax Competition, An Emerging Global Issue“.[15] მასში OECD მიმოიხილავს მავნე საგადასახადო პრაქტიკის მნიშვნელობას და მის ეფექტებს მსოფლიო ეკონომიკაზე, ასევე ჩამოთვლის საგადასახადო თავშესაფრების (Tax Havens) და მავნე საგადასახადო პრაქტიკის მაკვალიფიცირებელ სხვადასხვა ფაქტორს, და ბოლოს, გასცემს რეკომენდაციებს ქვეყნებისთვის მავნე საგადასახადო პრაქტიკასთან ბრძოლის მექანიზმებზე.

2013 წელს დიდი ოცეულის მოთხოვნის საფუძველზე, OECD-ის მიერ ინიცირებულ იქნა დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის (BEPS – Base Erosion and Profit Shifting) პროექტი, რომელიც ითვალისწინებს 15 ღონისძიებას. BEPS-ის პროექტის ძირითადი მიზანია - ეფექტიანი შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო ინსტრუმენტების შემუშავება, აგრესიული და საზიანო საგადასახადო პრაქტიკის აღსაკვეთად.

მავნე საგადასახადო პრაქტიკის პრობლემურობაზე OECD ასევე მიუთითებს BEPS-ის პროექტშიც,[16] რომლის ფარგლებშიც მავნე საგადასახადო პრაქტიკასთან საბრძოლველად შემოღებული აქვს ე.წ. მე 5 ღონისძიება (Action 5). მე-5 ღონისძიების მიზანია მავნე საგადასახადო პრაქტიკის აღმოფხვრა შეღავათიანი რეჟიმების გადახედვის გზით და მავნე საგადასახადო პრაქტიკასთან დაკავშირებული ინფორმაციის სავალდებულო გაცვლა. მე-5 ღონისძიებასთან დაკავშირებით OECD-ის ასევე შექმნილი აქვს ცალკე დოკუმენტი - „Countering Harmful Tax Practices More Effectively, Taking into Account Transparency and Substance, Action 5 - 2015 Final Report“.[17]

BEPS-ის პროექტის დანერგვის მიზნით, 2016 წლის თებერვალში, OECD-ის წევრმა სახელმწიფოებმა და დიდი ოცეულის (G20) ქვეყნებმა დააარსეს BEPS-ის ინკლუზიური პლატფორმა, რომლის წევრობა ითვალისწინებს BEPS-ის პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას. კერძოდ, BEPS ის პროექტის ფარგლებში 4 მინიმალური სტანდარტის დანერგვის ვალდებულებას. 4 მინიმალურ სტანდარტში შედის მათ შორის, მე-5 ღონისძიების მოთხოვნების დაკმაყოფილებაც.

2016 წლის 14 ივნისს, საქართველო BEPS-ის ინკლუზიურ პლატფორმას ასოცირებული წევრის სტატუსით მიუერთდა. საქართველომ, როგორც BEPS-ის ინკლუზიური პლატფორმის ასოცირებულმა წევრმა, აიღო BEPS-ის პროექტით გათვალისწინებული 4 მინიმალური სტანდარტის დანერგვის, მათ შორის, მე-5 ღონისძიების დანერგვის ვალდებულება.

მე-5 ღონისძიების ფარგლებში შემუშავებული მინიმალური სტანდარტის დანერგვის პროცესს კოორდინაციას უწევს FHTP - საზიანო საგადასახადო პრაქტიკის ფორუმი, რომლის მიზანია უზრუნველყოს მე-5 ღონისძიების ფარგლებში შემუშავებული სტანდარტების შეფასება და მონიტორინგი.

მონიტორინგის ფარგლებში, იმის გამოსარკვევად, ესა თუ ის საშეღავათო საგადასახადო პრაქტიკა წარმოადგენს თუ არა მავნე პრაქტიკას, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს სხვა ქვეყნების ეკონომიკაზე, FHTP ეყრდნობა OECD-ის მიერ გამოქვეყნებულ შემდეგ ორ დოკუმენტს:

- Harmful Tax Competition, An Emerging Global Issue, 1998.
- Countering Harmful Tax Practices More Effectively, Taking into Account Transparency and Substance, Action 5 - 2015 Final Report, 2015.

[15] https://www.oecd-ilibrary.org/taxation/harmful-tax-competition_9789264162945-en

[16] Addressing Base Erosion and Profit Shifting, OECD, 2013 - https://www.oecd.org/tax/beps/addressing-base-erosion-and-profit shifting-9789264192744-en.htm

[17] https://www.oecd.org/tax/countering-harmful-tax-practices-more-effectively-taking-into-account-transparency-and-substance action-5-2015-final-report-9789264241190-en.htm

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მავნე საგადასახადო პრაქტიკის მაკვალიფიცირებელი ძირითადი კრიტერიუმები მოცემულია პირველ, 1998 წელს მიღებულ დოკუმენტში. BEPS-ის პროექტის ფარგლებში შემუშავებული 2015 წლის დოკუმენტიც ძირითადად ეყრდნობა 1998 წლის დოკუმენტს, თუმცა შეტანილი აქვს მცირე დამატებებიც.

ეს დოკუმენტები გამოყოფენ ორი ტიპის მავნე საგადასახადო რეჟიმებს. პირველ კატეგორიაში ხვდებიან ე.წ. საგადასახადო თავშესაფრები (Tax Havens), ხოლო მეორე კატეგორიაში - ისეთი ქვეყნები, რომლებიც არ არიან საგადასახადო თავშესაფრები, თუმცა აქვთ ისეთი სპეციალური საგადასახადო რეჟიმები ან საგადასახადო შეღავათები, რომლითაც აზიანებენ სხვა ქვეყნების ეკონომიკას.

საგადასახადო თავშესაფრები

საგადასახადო თავშესაფრის გამოსაკვეთად OECD იყენებს 4 კრიტერიუმს:

1. ნულოვანი გადასახადები - ისეთ ქვეყნებში, რომლებშიც მოწყობილია საგადასახადო თავშესაფარი, შემოსავალზე არსებული გადასახადები ან ნულოვანია, ან იმდენად მიზერული, რომ ბიზნესისთვის არ აქვს არსებითი ეკონომიკური ეფექტი.

2. ინფორმაციის გასაიდუმლოება - საგადასახადო თავშესაფრებისათვის ასევე დამახასიათებელია ისეთი კანონმდებლობა, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიებს, თავიანთი საქმიანობის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეინახონ საიდუმლოდ. ეს იწვევს არა მხოლოდ ისეთი ინფორმაციის დამალვას, რომელიც ხელს უწყობს კომპანიებს გადასახადების დამალვაში, არამედ ფულის გათეთრებაშიც.

3. გაუმჭვირვალობა - გარდა კომპანიების მიერ ინფორმაციის დამალვისა, საგადასახადო თავშესაფრებისთვის დამახასიათებელია ამ ინფორმაციის დამალვა თავად სახელმწიფოების მიერ. კერძოდ, ქვეყნები, რომლებშიც მოწყობილია საგადასახადო თავშესაფრები, როგორც წესი, სხვა სახელმწიფოებს არ აწვდიან ინფორმაციას მათ სახელმწიფოში რეგისტრირებული კომპანიების და მათი შემოსავლების შესახებ, ისინი ხელს უშლიან სხვა სახელმწიფოს გადასახადების გამოთვლისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიღებაში.

4. არარსებითი ბიზნესაქტივობა - თუკი საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული შეღავათების გამოსაყენებლად მოთხოვილია, რომ ბიზნესი არსებითად უნდა ფუნქციონირებდეს ამ სახელმწიფოში, მაშინ კომპანიას რეალურად უწევს მის საგადასახადო ბაზასთან ერთად, თავად საქმიანობის გადატანა ამ ქვეყანაში. საგადასახადო თავშესაფრებს ასეთი მოთხოვნა არ აქვთ, რაც შესაძლებელს ხდის საგადასახადო ბაზის გადატანას მხოლოდ ე.წ. გამტარი (conduit) კომპანიების დაფუძნებით, რომლებიც რეალურად, არსებითად არ წარმართავენ საქმიანობას ამ ქვეყანაში და შემოიფარგლებიან მხოლოდ თანხის ფულადი სახსრების ადმინისტრირებითა და ამ გზით გადასახადების შემცირებით.

მავნე საგადასახადო პრაქტიკა

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გარდა საგადასახადო თავშესაფრებისა, არსებობს ქვეყნები, რომლებიც არ კვალიფიცირდებიან ასეთად, თუმცა მათი საგადასახადო სისტემისა და საგადასახადო პოლიტიკის გამო, ქმნიან მავნე შეღავათიან საგადასახადო პრაქტიკას. ბევრი ქვეყანა ცდილობს, შექმნას უკეთესი ადგილი კომპანიებისათვის, სადაც მათ შეუძლიათ შედარებით იაფად შეინახონ აქტივები, განახორციელონ ფინანსური ოპერაციები.

შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის დასადგენად გამოიყოფა რამდენიმე ძი-

რითადი კრიტერიუმი (key factors), რომლებიც მეტწილად ჰგავს საგადასახადო თავშესაფრის განსასაზღვრად მითითებულ კრიტერიუმებს.

1. ნულოვანი/მცირე გადასახადები - გადასახადების სიმცირე შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის აუცილებელი ელემენტია და განიმარტება ისევე, როგორც საგადასახადო თავშესაფრის კრიტერიუმების განმარტებისას.

2. „RING-FENCING“ - გულისხმობს სპეციალური საგადასახადო საშეღავათო რეჟიმის (მაგალითად, სპეციალური საგადასახადო სტატუსი) განცალკევებას ქვეყნის დანარჩენი ეკონომიკისგან. კერძოდ, იმისთვის, რათა შეღავათის დამწესებელი ქვეყნის ეკონომიკაზე მავნე ზეგავლენა არ მოახდინოს მის მიერვე შემოღებულმა სპეციალურმა საგადასახადო რეჟიმმა, ქვეყანამ, შესაძლოა, (ა) შეუზღუდოს თავის რეზიდენტ პირებს ამ რეჟიმით სარგებლობა, ან (ბ) ამ სპეციალური საგადასახადო რეჟიმით მოსარგებლე პირებს შეუზღუდოს ქვეყნის დანარჩენ ეკონომიკაში თავისუფლად ჩართვა (მაგალითად, საქართველოში თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში[18] რეგისტრირებულ პირს აკრძალული აქვს ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული პირის გარდა სხვა ქართული კომპანიებისგან მომსახურების მიღება).

3. გაუმჭვირვალობა - მავნე საგადასახადო რეჟიმის/პრაქტიკის მქონე ქვეყნები, შესაძლოა, მალავდნენ ინფორმაციას სპეციალური რეჟიმის თაობაზე. ასევე, შესაძლოა, რომ საგადასახადო შეღავათის მავნე ხასიათი არ იყოს გამოკვეთილი საკანონმდებლო რეგულაციით, თუმცა, პრაქტიკაში, რეგულაციის აღსრულების დროს საგადასახადო ორგანო აძლევდეს ისეთ საშუალებას გადასახადის გადამხდელებს, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს მავნე პრაქტიკად. ამის გათვალისწინებით, გამჭვირვალობის მოთხოვნა ასევე გულისხმობს საგადასახადო პრაქტიკა-ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ინფორმაციის გამჭვირვალობასაც.

4. ინფორმაციის გაუცვლელობა - მავნე საგადასახადო რეჟიმის მქონე სახელმწიფო, შესაძლოა, სხვა სახელმწიფოს არ უცვლიდეს კონკრეტული კომპანიის თაობაზე გადასახადებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, საერთაშორისო შეთანხმებებით ასეთი ვალდებულება ჰქონდეს ნაკისრი.

5. არარსებითი ბიზნესაქტივობა - საგადასახადო შეღავათი ეხებათ კომპანიებს, რომლებიც არსებით ბიზნესსაქმიანობას არ ახორციელებენ შეღავათის მიმნიჭებელ სახელმწიფოში.

მავნე საგადასახადო პრაქტიკის დასადგენად, შესაძლოა, გამოიყენებოდეს სხვა რელევანტური რისკ ფაქტორებიც, რომლებიც აჩვენებს, რომ საგადასახადო რეჟიმი, შესაძლოა, დამაზიანებელი იყოს სხვა ქვეყნებისთვის.

რისკ-ფაქტორების შემთხვევაში, FHTP დამატებით იკვლევს, რამდენად აქვს სპეციალურ საგადასახადო რეჟიმს რეალური მავნე ზეგავლენა სხვა სახელმწიფოების ეკონომიკაზე და უშლის თუ არა ხელს სპეციალური საგადასახადო რეჟიმი ქვეყნებს შორის კეთილსინდისიერ კონკურენციას.

საკანონმდებლო ცვლილების გავლენის ანალიზი

წინამდებარე დოკუმენტის პირველ ნაწილში მოცემული ანალიზი ცხადყოფს, რომ საკანონმდებლო ცვლილების ფარგლებში საგადასახადო შეღავათი გათვალისწინებულია კონკრეტული ოპერაციისთვის, რომელიც შეზღუდულია კონკრეტული დროით. საგადასახადო შეღავათის ფარგლებში, გადასახადებს ძირითადად კარგავს საქართველო და არ იკვეთება, რომ შეღავათმა, შესაძლოა, მავნე ზეგავლენა იქონიოს სხვა, არაოფშორული ქვეყნების ეკონომიკაზე.

საკანონმდებლო ცვლილებით გათვალისწინებულმა შეღავათმა სხვა სახელმწიფოების ეკონომიკაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოახდინოს გავლენა, თუ, მაგალითად, ოფშორულ კომპანიას საკუთრებაში აქვს მანქანა-

[18] სპეციალური საშეღავათო საგადასახადო რეჟიმი.

დანადგარები (ან სხვა აქტივი), რომლის მეშვეობითაც სხვა სახელმწიფოში ახორციელებს ბიზნესსაქმიანობას და ქონების გადასახადის ფარგლებში არსებული საშეღავათო პირობის გამო საქართველოში გადმოიტანს ამ აქტივებს. ასეთ შემთხვევაში, ის ქვეყანა, სადაც მანამდე იყო ბაზირებული მანქანა-დანადგარები, დაკარგავს ამ ბიზნესის მიერ შექმნილ ეკონომიკურ სიკეთეს (იქნება ეს გადასახადები, თუ სამუშაო ადგილები).

ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის ზეგავლენა არ მიიჩნევა მავნე ზეგავლენად სხვა სახელმწიფოების ეკონომიკაზე, არამედ სახელმწიფოებს შორის კეთილსინდისიერი კონკურენციაა. მავნე საგადასახადო პრაქტიკისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი კრიტერიუმია ისეთი საგადასახადო შეღავათი, რომელიც ვრცელდება კომპანიაზე, რომელსაც საქართველოში არსებითი ბიზნესაქტივობა არ აქვს, მითითებული მოდელის პირობებში კი, ქონების გადასახადისგან გასათავისუფლებლად გადასახადის გადამხდელს მოუწევს საქართველოში აქტივის შემოტანა.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ BEPS-ის პროექტი ეხება შემოსავალთან დაკავშირებულ გადასახადებს (საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი) და, შესაბამისად, FHTP-იც მავნე საგადასახადო პრაქტიკას ამ გადასახადებთან მიმართებით იკვლევს და არა ქონების გადასახადთან მიმართებით.

ამდენად, საკანონმდებლო ცვლილებით გათვალისწინებულ შეღავათს მოგების გადასახადის ნაწილში დამაზიანებელი ზეგავლენა ექნება მხოლოდ საქართველოს ეკონომიკაზე, ხოლო ქონების გადასახადის და იმპორტის გადასახდელების ნაწილში მოქმედი შეღავათები არ შედის OECD-ის ზედამხედველობის არეალში.

გამჭვირვალობის და ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნებთან დაკავშირებით, OECD-ი თავის ყოველწლიურ ანგარიშებში საქართველოსთან დაკავშირებით არ უთითებს ხარვეზებზე და არც დამატებით რეკომენდაციებს გასცემს, შესაბამისად, ორგანიზაცია საქართველოს ამ ეტაპზე არ მიიჩნევს რისკ-ფაქტორად.[19]

შედეგად, ამ ეტაპზე არ დგინდება, რომ შემოღებული საგადასახადო შეღავათი წინააღმდეგობაში მოდის OECD-ის პოლიტიკასთან, თუმცა, ამ ნაწილში მნიშვნელოვანი იქნება FHTP-ის შემდგომი შემოწმება, რომელიც უფრო დეტალურად შეისწავლის შეღავათის პრაქტიკაში აღსრულების საკითხს.

შეჯამება

წინამდებარე დოკუმენტი მოკლედ აჯამებს საქართველოს პარლამენტის მიერ 2024 წლის 4 ივნისს შემოღებულ საგადასახადო შეღავათს ოფშორულ ქვეყნებში რეგისტრირებულ კომპანიებთან დაკავშირებით.

შემოღებული საგადასახადო შეღავათის მიხედვით, თუკი ოფშორულ ქვეყანაში რეგისტრირებულ კომპანიას და საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიას ერთი და იგივე დამფუძნებელი ჰყავთ, გადასახადისგან თავისუფლდება შემდეგი ტრანზაქციები:

- მოგების/საშემოსავლო გადასახადისგან თავისუფლდება ოფშორული კომპანიის მიერ საქართველოში რეგისტრირებული კომპანიისთვის ყველა ისეთი აქტივის მიწოდებით წარმოშობილი შემოსავალი/სარგებელი, რომელიც საქართველოში არსებული წყაროდან მიწოდებულად ითვლება, თუ, ასეთი მიწოდება განხორციელდება 2028 წლის 1-ელ იანვრამდე.
- იმპორტის გადასახდელისაგან თავისუფლდება ამ ტრანზაქციის ფარგლებში, აქტივების საქართველოში შემოტანა.
- ქონების გადასახადისგან თავისუფლდება ამ ტრანზაქციის ფარგლებში საქართველოში რეგისტრირებული კომპანიის მიერ მიღებული ქონება, 2030 წლის 1-ელ იანვრამდე.

[19] იხ. OECD-ის 2020, 2021, 2022 წლების ანგარიშები:
2020 - https://www.oecd.org/tax/beps/harmful-tax-practices-2020-peer-review-reports-on-the-exchange-of-information-on-tax rulings-f376127b-en.htm
2021 - https://www.oecd.org/tax/beps/harmful-tax-practices-2021-peer-review-reports-on-the-exchange-of-information-on-tax rulings-4034ce42-en.htm
2022 - https://www.oecd.org/tax/beps/harmful-tax-practices-2022-peer-review-reports-on-the-exchange-of-information-on-tax rulings-22bbeacc-en.htm

კანონის განმარტებითი ბარათის მიხედვით, კანონის მიღების მიზანია, რომ სახელმწიფომ ოფშორულ ქვეყნებში რეგისტრირებულ კომპანიებს ხელი შეუწყოს საქართველოში აქტივების დაუბეგრავად გადმოტანაში. ეს არგუმენტი არ შეესაბამება რეალობას, რადგან, ოფშორში რეგისტრირებულ კომპანიებს, წარმოდგენილი საგადასახადო შეღავათის გარეშეც შეეძლოთ, რომ დაუბეგრავად მოეხდინათ აქტივების მესაკუთრის ცვლილება. ამდენად, შემოღებული შეღავათის რეალური მიზანი ვერ იქნებოდა ის, რასაც კანონის ავტორები მიუთითებდნენ განმარტებით ბარათში.

შემოღებული საგადასახადო შეღავათის რეალური შედეგი გამოიხატება შემდეგში:

- **მოგების/საშემოსავლო გადასახადი**: საგადასახადო კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება იძლევა საშუალებას, რომ ქართული საწარმოს მიერ დაგროვილი მოგება, რომლის დამფუძნებელზე განაწილებაც დაიბეგრებოდა მოგების გადასახადით, საქართველოდან გავიდეს დაუბეგრავად, ნასყიდობის ღირებულების სახით. მაგალითად, ქართული საწარმო, რომელიც დააგროვებს მოგებას, ამ მოგების დივიდენდის სახით განაწილების ნაცვლად, საკუთარი დამფუძნებლისაგანვე იყიდის საქართველოშივე არსებულ ქონებას. ამ გზით, ქართული კომპანიის მიერ დაგროვილი მოგება ოფშორულ ქვეყანაში გადავა როგორც ნასყიდობის ღირებულება, რაც საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, მოგების გადასახადით არ იბეგრება. შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილების ირიბი შედეგია ის, რომ თუ საქართველოში არსებული ბიზნესიდან ოფშორში გატანილი მოგება აქამდე ეფექტიანი 19.25%-ით დაიბეგრებოდა, ცვლილებების შემდეგ ამ მოგების ოფშორში გატანა აღარ დაიბეგრება.
- **იმპორტის გადასახადი:** იმის გათვალისწინებით, რომ შემოღებული შეღავათი ითვალისწინებს იმპორტის გადასახდელისგან შემოტანილი აქტივების გათავისუფლებას, ივარაუდება, რომ იგეგმება საქართველოში ისეთი მოძრავი აქტივის გადმოტანა, რისი ღირებულებაც, როგორც წესი, მაღალია. ასეთი ტიპის აქტივები, რომელზეც ეფექტი ექნება შემოღებულ საგადასახადო შეღავათს, არის, მაგალითად, ძვირფასი ლითონები (ოქრო, ვერცხლი, პლატინა), ძვირფასი ქვები (ალმასი, მარგალიტი, სხვ.), ძვირფასი ლითონისგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობები, ხელოვნების ნიმუშები, საკოლექციო ნივთები და ანტიკვარიატი. ამგვარი ნივთები განსახილველი შეღავათის შემოღებამდე იმპორტისას ექვემდებარებოდა დაბეგვრას 12-18%-იანი განაკვეთით, რაც აღარ მოხდება შეღავათის ამოქმედების შემდგომ.
- **ქონების გადასახადი:** ქონების გადასახადის ნაწილში მნიშვნელოვანი შეღავათით შეიძლება ისარგებლონ იმ პირებმა, რომლებიც ოფშორული კომპანიების მეშვეობით ფლობდნენ საქართველოში დიდი ღირებულების უძრავ ქონებას (მაგალითად, კომერციულ და სავაჭრო ფართებს) და აღნიშნულ ქონებაზე ყოველწლიურად იხდიდნენ ქონების გადასახადს.

განსახილველი საგადასახადო შეღავათის შემოღების შემდეგ, თუკი ოფშორული კომპანიები ასეთ აქტივს გადასცემენ საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიას, ქართული კომპანია (რომელსაც ჰყავს იგივე ბენეფიციური მფლობელი) 2030 წლის 1-ელ იანვრამდე აღარ გადაიხდის ამ აქტივებზე ქონების გადასახადს. ასევე, თავად აქტივების ქართული კომპანიისთვის გადაცემის ოპერაციაც თავისუფლდება მოგების/საშემოსავლო გადასახადისგან (რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ).

სსიპ შემოსავლების სამსახურს 2022 წლის 28 ივლისის №20231 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სამეურნეო ოპერაციის კვალიფიკაციის ცვლილების შესახებ მეთოდური მითითება, რომელშიც სსიპ შემოსავლების სამსახურს მაგალითად მოხმობილი აქვს მსგავსი სქემა, რასაც გვთავაზობს განსახილველი საგადასახადო შეღავათი და ეს სქემა საგადასახადო ორგანოს შეფასებული აქვს როგორც საეჭვო ოპერაცია, რომელიც მიზნად ისახავს გადასახადისგან თავის არიდებას.


2024 წლის 2 ოქტომბერს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ცვლილება შეიტანა თავისივე 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში, რომელშიც დაამატა 11115-ე მუხლი. ამ მუხლით ფინანსთა მინისტრმა დაარეგულირა საგადასახადო კოდექსით შემოღებული შეღავათის გამოყენების წესები. მიუხედავად იმისა, რომ საგადასახადო კოდექსში არსებული საშეღავათო ნორმა ფინანსთა მინისტრს აძლევდა საშუალებას, მოეწესრიგებინა მხოლოდ საქონლის იმპორტთან დაკავშირებული პროცედურები, მინისტრმა თავისი ბრძანებით მაინც შემოიღო ახალი, კანონისგან განსხვავებული სპეციალური წესი შეღავათის გამოსაყენებლად. კერძოდ, მინისტრის ბრძანების თანახმად, საგადასახადო შეღავათი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოფშორული კომპანია ქართულ კომპანიას აქტივებს უსასყიდლოდ მიაწვდის. შედეგად, მინისტრმა პრაქტიკულად გამორიცხა საგადასახადო სქემის

განხორციელება, რომელიც შესაძლებელს გახდიდა, მოგება გადაქაჩულიყო საქართველოდან ოფშორულ კომპანიაში. მიუხედავად ამისა, საგადასახადო კოდექსში საშეღავათო ნორმის ამოქმედებიდან ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში ცვლილების შეტანამდე არსებული 4-თვიანი შუალედი იძლეოდა საშუალებას, რომ ამ პერიოდში ოპერაციები განხორციელებულიყო სასყიდლით. გარდა ამისა, ამ ოპერაციების სასყიდლით განხორციელების შესაძლებლობა არსებობს დღესაც, რადგან, ფინანსთა მინისტრის ბრძანება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტია, რომელსაც არ აქვს უპირატესი იურიდიული ძალა საგადასახადო კოდექსთან შედარებით. როდესაც საგადასახადო კოდექსის ნორმასა და მინისტრის ბრძანებას შორის არსებობს კოლიზია, გამოიყენება საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესი. ამდენად, ვინაიდან მინისტრის ბრძანება წინააღმდეგობაში მოდის საგადასახადო კოდექსით დადგენილ საშეღავათო ნორმასთან (არსებითად ავიწროებს შეღავათით სარგებლობის პირობებს), მაინც რჩება საქართველოდან ოფშორულ ქვეყნებში მოგების დაუბეგრავად გადაქაჩვის რისკები.

გარდა ამისა, ვინაიდან განსახილველ შეღავათს დამაზიანებელი ზეგავლენა ექნება მხოლოდ საქართველოს ეკონომიკაზე (და არა სხვა, არაოფშორული ქვეყნების ეკონომიკაზე), ამ ეტაპზე არ დგინდება, რომ შემოღებული საგადასახადო შეღავათი წინააღმდეგობაში მოდის OECD-ის პოლიტიკასთან, თუმცა, ამ ნაწილში მნიშვნელოვანი იქნება FHTP-ის შემდგომი შემოწმება, რომელიც უფრო დეტალურად შეისწავლის შეღავათის პრაქტიკაში აღსრულების საკითხს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ დგინდება, რომ განსახილველ საგადასახადო შეღავათს რაიმე სახის დადებითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე, მეორე მხრივ კი, ის, შესაძლოა, დამაზარალებელი იყოს სახელმწიფო ბიუჯეტისთვის.

ვინ ხეირობს ე.წ. ოფშორების კანონით?



საგადასახადო კოდექსში გატარებული საკანონმდებლო ცვლილებები ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ კომპანიებს რამდენიმე შეღავათს უწესებს. მათ შორისაა მოგების გადასახადისგან გათავისუფლება.

ფლანგვის დეტექტორმა შეისწავლა საქართველოში რეგისტრირებული ის მსხვილი საწარმოები, რომელთა წილების მფლობელი ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული უცხოური საწარმო(ები)ა.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ მმართველი პარტიის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილება საგადასახადო სიკეთეებს უმეტესწილად იმ მსხვილ ოფშორულ კომპანიებს მოუტანს, რომელთაც დიდი ოდენობით გაუნაწილებელი მოგება აქვთ აკუმულირებული საქართველოში.

კვლევის პროცესში შევისწავლეთ ის 20 მსხვილი ქართული კომპანია, რომელთა წილის მფლობელები სრულად ან ნაწილობრივ ოფშორში რეგისტრირებული კომპანიები არიან და რომლებზეც გავრცელდა განსახილველი საგადასახადო ცვლილებები. ახალი საკანონმდებლო ცვლილებების ფარგლებში სწორედ ამ ტიპის კომპანიებს ჰქონდათ შესაძლებლობა მათ მიერ წლების განმავლობაში დაგროვილი „გაუნაწილებელი მოგება“ დაუბეგრავად (19.25%)[20] განეკარგათ და ამდენად „ლეგალურად“ აერიდებინათ თავი, მოგების გადანაწილებისთვის.

კომპანიების ფინანსური ანგარიშგებების შესწავლისას დავადგინეთ, რომ 10 კომპანიას ჯამში 500 მილიონ ლარამდე გაუნაწილებელი მოგება აქვს აკუმულირებული.

აღსანიშნავია, რომ მოგების გადასახადისგან თავის არიდების მექანიზმით საგადასახადო კოდექსში გატარებული ცვლილებებით, კომპანიებს 4 თვის განმავლობაში შეეძლოთ ესარგებლათ.

2024 წლის 2 ოქტომბერს, გამოქვეყნდა ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 1 ოქტომბრის №329 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ბრძანების თანახმად ფინანსთა მინისტრმა განსაზღვრა ის წესები და პირობები, რომელთა დაცვითაც უნდა ისარგებლონ ოფშორულმა კომპანიებმა დაწესებული შეღავათებით.

მინისტრის ბრძანებით დადგენილმა შეღავათით სარგებლობის დამატებითმა მოთხოვნამ კანონსა და ბრძანებას შორის კოლიზია წარმოშვა. კერძოდ, კანონით გათვალისწინებული არ იყო ფინანსთა მინისტრის უფლებამოსილება დაედგინა მოგების გადასახადის ნაწილში შეღავათის სარგებლობის წესები და პირობები. ფინანსთა მინისტრმა განსაზღვრა კანონით შეღავათის მოქმედების არეალი, რომელიც ფაქტობრივად პირდაპირ ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს.

შესაბამისად, არსებობს შესაძლებლობა იმისა, რომ ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულმა კომპანიებმა შეღავათით სარგებლობა შეძლონ კანონზე მითითებით. რადგან, ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად,[21]

[20] მოგების 15% და დივიდენდის 5% განაკვეთების ჯამური სალდირებული შედეგი.

[21] ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი

საქართველოს საკანონმდებლო აქტებს უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ. შებამისად, თუ მინისტრის ბრძანება (კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი) ეწინააღმდეგება კანონს, გამოიყენება კანონი და მას მიენიჭება უპირატესი ძალა.

საკანონმდებლო ცვლილების მიზანი და მისი მიღების დრო და პოლიტიკური კონტექსტი აჩენს ეჭვს, რომ ის კონკრეტული პირებისა და ბიზნესების ინტერესებზეა მორგებული და მსხვილი ბიზნესელიტების პოლიტიკური ლოიალობის მოპოვებასა და მათ კოოპტაციას ისახავს მიზნად.

თუმცა, ცხადია, რომ კვლევის ჩატარების მომენტისთვის რთულია იმის ზუსტი განსაზღვრა, ისარგებლეს თუ არა მსხვილმა კომპანიებმა, ზემოაღნიშნული ხუთი თვის საშეღავათო პერიოდით, რადგან ამის დამასატურებელი მონაცემები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში გამოჩნდება, რომელსაც ისინი შემდეგ წლამდე არ წარადგენენ. თუმცა, კანონსა და მინისტრის ბრძანებას შორის არსებული კოლიზია არ გამორიცხავს კომპანიების მიერ შეღავათებით სარგებლობის შესაძლებლობას, მინისტრის ბრძანების გამოქვეყნების შემდეგაც.

ქვემოთ მოცემულ ჩამონათვალში ყველაზე დიდი გაუნაწილებელი მოგების მქონე 10 კომპანია და ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული ოფშორული კომპანიებია წარმოდგენილი, თუმცა საწარმოთა რიცხვი, რომლებიც ე.წ. ოფშორების კანონით ისარგებლებდნენ, გაცილებით დიდია და, შესაბამისად, დიდია დანაკარგიც, რომელიც, შესაძლოა, საქართველოს ბიუჯეტმა ქვეყნის იურისდიქციაში მოქმედი ოფშორული კომპანიების ხარჯზე მიიღო.

1. თბილისი ენერჯი

თბილისი ენერჯი ბუნებრივი აირის დისტრიბუციას ეწევა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე – მონოპოლისტია.

კომპანიის ბოლო ანგარიშგება 2023 წლით თარიღდება. ფინანსური დეკლარაციის თანახმად, თბილისი ენერჯის 97,611,000 ლარის გაუნაწილებელი მოგება აქვს.

თბილისი ენერჯის 100%-ს ფლობს შპს ვოლთბეი, რომელიც მარშალის კუნძულებზეა რეგისტრირებული. კომპანიის საბოლოო ბენეფიციარები ხვიჩა მაქაცარია და ნასიბ ჰასანოვი არიან.

2. შპს ჯეოსთილი

„შპს ჯეოსთილი“ 2006 წელს დაარსებული კომპანიაა, რომლის საქმიანობა ცხლად გლინვის მეთოდითა და სამშენებლო ფოლადის ნამზადის გამოყენებით სამშენებლო არმატურის წარმოებაა .

კომპანიის ბოლო ანგარიშგება 2024 წლით თარიღდება22, რომლის თანხამადაც, „შპს ჯეოსთილს“ 152,585,000 ლარის ოდენობის გაუნაწილებელი მოგება აქვს.

„შპს ჯეოსთილის“ 90% წილის მფლობელი ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული Georgian Steel Group Holdings Limited (“GSGHL”)-ია, ხოლო 10%-ის - ნიდერლანდებში რეგისტრირებული JSW Steel B.V. (“JSW BV”).

3. შპს ჭიათურმანგანუმ ჯორჯია

„ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“ სხვადასხვა ტიპის მანგანუმის ფეროშენადნობების წარმოებითა და რეალიზაციითაა დაკავებული.

[22] 2024 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის

კომპანიის ბოლო ანგარიშგება 2023 წლით თარიღდება და გაუნაწილებელი მოგება 57,792,732 ლარს შეადგენს.

„ჭიათურმანგანუმ ჯორჯიის“ 100% წილს სეიშელის რესპუბლიკაში რეგისტრირებული Greenfield Financial Corp ფლობს, რომლის საბოლოო მფლობელად ანგარიშგებაში შმაგი ქემერტელიძეა დასახელებული.

4. შპს ალმა

„შპს ალმა“ გარე რეკლამის ბაზარზე საქმიანობს. ორგანიზაცია ფლობს თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ბალანსზე რიცხულ ინფრასტრუქტურაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე არსებულ სარეკლამო ადგილებზე რეკლამების განთავსების ექსკლუზიურ უფლებას. დამატებით, „შპს ალმას“ აქვს თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებში შიდა რეკლამის განთავსების ექსკლუზიური უფლება.

კომპანიის უახლესი ანგარიშგების, რომელიც 2023 წლით თარიღდება, თანახმად, „შპს ალმას“ გაუნაწილებელი მოგება 109,264,635 ლარია.

კომპანიის მფლობელია მალტაში რეგისტრირებული შპს Meridian Malta , რომლის საბოლოო მაკონტროლებელი პირები სოსო (სამსონ) ფხაკაძე და ლევან ფხაკაძე არიან.

5. შპს მარსი

„შპს მარსი“ კლიენტებს ონლაინ ტოტალიზატორს, ონლაინ კაზინოს, ონლაინ peer-to-peer და სხვა ონლაინ თამაშებს სთავაზობს ვებგვერდის - www.crystalbet.com-ის საშუალებით. კომპანია ასევე ამუშავებს მიწის კაზინოს, ტოტალიზატორს და ოცდაერთ სალაროს.

2023 წლის ანგარიშგების მიხედვით, „შპს მარსის“ გაუნაწილებელი მოგება 29,124,000 ლარია.

კომპანიის 100% წილის მფლობელია საქართველოში რეგისტრირებული „შპს ენთეინ ჯორჯია“, რომლის 100% წილის ფლობელია მალტაში რეგისტრირებული ბვინ ჰოლდინგს (მალტა) ლიმითედი.

6. შპს სუფთა სახლი

„შპს სუფთა სახლი“ მაღაზიათა ქსელია, რომელიც ყოველდღიური მოხმარების ჰიგიენურ, საყოფაცხოვრებო ქიმიას, კოსმეტიკას, პარფიუმერიასა და სანიტარიულ-ჰიგიენურ საშუალებებს აწვდის მომხმარებლებს.

2023 წლის ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, „შპს სუფთა სახლის“ გაუნაწილებელი მოგება 29,731,000 ლარია.

კომპანიის 96% წილის მფლობელია ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული GRG Trading Ltd , რომლის წარმომადგენელი არჩილ მაჭარაშვილია, ხოლო 4%-ის - თამარ ღვინიაშვილი.

7. შპს ჯორჯიან პეტროლიუმი

„შპს ჯორჯიან პეტროლიუმი“ აეროპორტებში საავიაციო საწვავის მიწოდებას უზრუნველყოფს. საქართველოში ის მოქმედებს თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში.

უკანასკნელი ანგარიშგების მიხედვით, კომპანიის გაუნაწილებელი მოგება 8,435,000 ლარია.

„შპს ჯორჯიან პეტროლიუმს“ სამი ოფშორული კომპანია ფლობს. კომპანიის 50% წილს სეიშელის კუნძულებზე რეგისტრირებული „აკერტ გრუპ ეს.ეი.“ ფლობს, 25%-ს - ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული გეითლაინ პროჯექტს ლიმიტედ (GATE-LINE PROJECTS LIMITED), ხოლო უკანასკნელ 25% წილს კი - საქართველოში რეგისტრირებული „შპს ფრენფილდ ჯორჯია“ , რომლის საბოლოო მფლობელი ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებული „ფრენფილდ ჰოლდინგსია“.

8. შპს გდგ

კომპანიის „შპს გდგ“ ძირითადი საქმიანობა ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობაა . ბოლო ანგარიშგების მიხედვით, კომპანიის გაუნაწილებელი მოგება 6,122,400 ლარია.

„შპს გდგ-ის“ 85% წილის მფლობელია კვიპროსში რეგისტრირებული „ვიონეო ჰოლდინგს ლიმითიდ“ , 10% წილის მფლობელი - ციალა დარჩიაშვილი, ხოლო 5%-ის მაია ბიწკინაშვილი.

9. შპს სერვის ნეტ გრუპი

„შპს სერვის ნეტ გრუპის“ ძირითადი საქმიანობა სხვადასხვა სახის ხაზობრივი ნაგებობების მოწყობა/მშენებლობა, საჰაერო და მიწისქვეშა მაგისტრალური ინფრასტრუქტურის და ასევე შიდა ქსელის მოწყობაა.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ანგარიშგების თანახმად, კომპანიის შემოსავლის 99% ერთი კლიენტისგან მოდიოდა, ხოლო გაუნაწილებელი მოგება 5,745,666 ლარია.

„შპს სერვის ნეტ გრუპის“ 100% წილის მფლობელია მალტაში რეგისტრირებული „იუპიტერ ფინანს (მალტა) ლიმიტედ“ .

10. შპს ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი

„შპს ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“ ბათუმში საკონტეინერო ტერმინალს და საბორნე ხიდს საქართველოს ფლობს.

კომპანიის გაუნაწილებელი მოგება უახლესი ანგარიშგების მიხედვით 3,220,973 ლარია.

„შპს ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის“ 100% წილის მფლობელია კაიმანის კუნძულებზე რეგისტრირებული „აი-სი-თი-ეს-აი საქართველოს კორპორაცია“ (ICTSI Georgia cor.) .

მმართველმა პარტიამ საგადასახადო კოდექსის ცვლილებების კანონპროექტი დაჩქარებულად, სამი მოსმენით, 19 აპრილს მიიღო. რამდენიმე დღეში კი ქართულ ოცნებას მხარდამჭერები ბიზნესსაზოგადოების რიგებიდან გამოუჩნდა. შესაბამისად, მმართველი პარტიის მიერ მიღებული ახალი საგადასახადო შეღავათები შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ცვლილებები კონკრეტული ბიზნესსექტორის ინტერესებზე იყო მორგებული, მათი ლოილაობისა და მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული ოფშორული კომპანიები

კვლევის პროცესში მნიშვნელოვანი იყო, შეგვესწავლა, თუ რა გავლენას მოახდენდა ახალი ცვლილება საგადასახადო კოდექსში ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებულ კომპანიებზე.

დღევანდელი მდგომარეობით გამოვლენილია ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული 14 ოფშორული კომპანია (თუმცა მათი რიცხვი შეიძლება გაცილებით მეტი იყოს):

- ლაიმსთოუნ ფაინანს ინთერნეიშენელ
- ფინსეკ ლიმიტედი
- რინგოლდ ფინანს ლიმიტედი
- ვენითი ოუვერსიიზ ლიმიტედი
- გილმარ ჰოლდინგ ლიმიტიდი
- კრისტა ინვესტმენტ ლიმიტედი
- სარგანს ლიმიტედი
- ტარპან მენეჯმენტს ლიმიტედი
- ფრესნო მენეჯმენტ ლიმიტედ
- ფრენკსტონ ინტერნეშენალ
- ბრაისთოუნ ფაიანანს ლიმიტედი
- ეკლიტონ ქომერს კორპ.
- ვიზელია ენთერპრაიზ ლიმიტედი
- ჯი სი ეფ ლუქსემბურგი

ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული ეს კომპანიები კი, თავის მხრივ, რამდენიმე ქართულ კომპანიას ფლობენ, რომელთა ძირითადი ნაწილი მეორე და მესამე კატეგორი[ა/ბ][23] მიეკუთვნება.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მიზნებისთვის, კომპანიები თავიანთი შემოსავლისა და აქტივების მიხედვით ოთხ კატეგორიად იყოფიან. 1-4 კატეგორიის კომპანიები ვალდებულები არიან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს“ 1-ელ ოქტომბრამდე წარუდგინონ წინა წლის ფინანსური ანგარიშგება . 1-3 კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგებები საჯაროა და ქვეყნდება ფინანსთა სამინისტროს ანგარიშგების პორტალზე.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ყველა კომპანიას ავალდებულებს ფინანსური დოკუმენტაციის გასაჯაროებას, ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული რამდენიმე კომპანია არღვევს კანონს და არ აქვეყნებს დეკლარაციას, შესაბამისად, რიგ შემთხვევაში მონაცემები მოძველებულია.

კომპანიები, რომლებიც ვალდებულები არიან წარადგინონ ფინანსური დეკლარაცია და არ აქვეყნებენ, ბოლო მონაცემებს:

● სს ქართუ ჯგუფი

სს ქართუ ჯგუფმა ბოლო დეკლარაცია 2019 წელს გამოაქვეყნა.

● შპს ფინსერვისი-XXI

კომპანია ფინსერვისი-XXI-ის ბოლო ფინ. დეკლარაცია 2021 წლით თარიღდება.

ჩვენს ხელთ არსებული მწირი მონაცემებისა და კომპანიების ხელმისაწვდომი ფინანსური დეკლარაციების შესწავლის შედეგად აღმოჩნდა, რომ ბიძინა ივანიშვილის კომპანიებსაც აქვს დაგროვებული ასეულობით მილიონის ოდენობის გა-

[23] მეოთხე კატეგორიის საწარმო – სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: ა) აქტივების ჯამური ღირებულება 1 მილიონ ლარს არ აღემატება; ბ) შემოსავალი 2 მილიონ ლარს არ აღემატება; გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 10-ს არ აღემატება; მესამე კატეგორიის საწარმო – სუბიექტი, რომელიც არ არის მეოთხე კატეგორიის საწარმო და რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: ა) აქტივების ჯამური ღირებულება 10 მილიონ ლარს არ აღემატება; ბ) შემოსავალი 20 მილიონ ლარს არ აღემატება; გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 50-ს არ აღემატება; მეორე კატეგორიის საწარმო – სუბიექტი, რომელიც არ არის მესამე ან მეოთხე კატეგორიის საწარმო და რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: ა) აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს არ აღემატება; ბ) შემოსავალი 100 მილიონ ლარს არ აღემატება; გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს არ აღემატება; პირველი კატეგორიის საწარმო – სუბიექტი, რომლის

უნაწილებელი მოგება, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი, სურვილის შემთხვევაში, დაბეგვრის გარეშე გაიტანდა. ეს კომპანიებია:

● სს ქართუ ჯგუფი

კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს საბანკო კომერციული საქმიანობა, სადაზღვევო საქმიანობა, სესხებისა და გარანტიების გაცემა, ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით, უცხოური ვალუტით, აგრეთვე დეპოზიტების მოზიდვა.

2019 წლის ფინანსური დეკლარაციების თანახმად, კომპანიას 278,303,000 ლარის გაუნაწილებელი მოგება ჰქონდა. ცხადია, რომ ეს მონაცემები განსაახლებელია და ბოლო წლებში მისი ოდენობა გაცილებით მაღალი იქნება.

შენიშვნა: 2018-2021 წლებში კომპანია II (მეორე) ზომით კატეგორიის საწარმოს მიეკუთვნებოდა. თუმცა, ბუღალტრული აღრიხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ინფორმაციის თანახმად, 2022 წლიდან, სს ქართუ ჯგუფ-მა IV (მეოთხე) კატეგორიაში გადაინაცვლა. გამომდინარე იქიდან, რომ სს ქართუ ჯგუფი 2019 წლიდან არღვევს კანონს და მალავს ინფორმაციას ფინანსების შესახებ, ზუსტი დეტალები ჩვენთვის უცნობია.

● შპს ფინსერვისი-XXI

კომპანიის საქმიანობის სფეროა: საკუთარი ან იჯარით აღებული შენობების გაქირავება და მართვა, მომსახურების გაწევა, სესხების გაცემა. 2021 წლის ანგარიშგების თანხმად, კომპანიას 80,458,854 ლარის გაუნაწილებელი მოგება აქვს.

● შპს ინტერ კონსალტინგ +

2023 წელს გამოქვეყნებული ანგარიშგების თანახმად, კომპანის 38,775,065 ლარის ოდენობის გაუნაწილებელი მოგება ჰქონდა.

კომპანიის საქმიანობის სფეროა: საფინანსო მომსახურების სხვა საქმიანობები, სადაზღვევო და საპენსიო ფონდების გარდა, რომელიც არ ექვემდებარება ლიცენზირებას და სპეციალურ რეგულირებას.

● შპს ქართული ჰოლდინგი

კომპანიას ბოლო ანგარიშგება 2023 წელს აქვს წარდგენილი, რომლის თანხმადაც, 8,744,272 ლარი გაუნაწილებელი მოგება ჰქონდა დაგროვებული.

კომპანიის საქმიანობის სფეროა: საბანკო კომერციული საქმიანობა, სადაზღვევო საქმიანობა, სესხებისა და გარანტიების გაცემა, ოპერაციები ფასიანი ქაღალდებით, უცხოური ვალუტით, აგრეთვე დეპოზიტების მოზიდვა.

ზემოაღნიშნული კომპანიები გაუნაწილებელი მოგების დაუბეგრავად გატანას 4 თვის განმავლობაში შეძლებდნენ, რაც, თავის მხრივ, საკმარისი პერიოდია საგადასახადო შეღავათით სარგებლობისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული ორი კომპანია სს ქართუ ჯგუფი და შპს ფინსერვისი-XXI წლებია არღვევენ კანონს და არ წარადგენენ ფინანსურ ანგარიშგებას, ამყარებს ეჭვებს, რომ ის ასევე იყო მორგებული სწორედ ოლიგარქის ინტერესებზე.

ძვირადღირებული ხელოვნების ნიმუშები და ქონება, რომელიც გადასახადისგან თავისუფლდება

საგადასახადო კოდექსის ცვლილებები არა მხოლოდ საწარმოების მოგების გადასახადისგან ერთჯერადად გათავისუფლებას გულისხმობს, არამედ მოიცავს ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანიის მიერ შემოტანილი აქტივების

მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს: ა) აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს აღემატება; ბ) შემოსავალი 100 მილიონ ლარს აღემატება; გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს აღემატება.

იმპორტის გადასახებისგან, ასევე, ქონების გადასახდელისგან გათავისუფლებას 2030 წლის 1 იანვრამდე.

უფრო კონრეტულად კი, ახალი საგადასახადო შეღავათით ისარგებლებს ნებისმიერი ოფშორული კომპანია, თუ გადაწყვეტს საქართველოში შემოიტანოს: ხელოვნების ნიმუშები, საკოლექციო ნივთები, ანტიკვარიატი, ძვირფასი ლითონები (ოქრო, ვერცხლი, პლატინა), ძვირფასი ქვები (ალმასი, მარგალიტი, სხვ.), ძვირფასი ლითონისგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობები.

შეღავათის შემოღებამდე ზემოთ აღნიშნული საქონელი 12-18%-იანი განაკვეთით იბეგრებოდა, რაც აღარ მოხდება საგადასახო კოდექსის ცვლილების ძალაში შესვლის შემდგომ.

საზოგადოებისთვის ფართოდ არის ცნობილი ბიძინა ივანიშვილისა და მისი ოჯახის წევრების განსაკუთრებული სიყვარული ხელოვნებისადმი.

2024 წელს გამოქვეყნებული ბლუმბერგის მონაცემებით, მისი ხელოვნების ნიმუშების კოლექციის ფასი 1 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. შეღავათის ამოქმედება კი, ბატონ ივანიშვილს საშუალებას მისცემს ნახატები საქართველოში დაუბეგრავად შემოიტანოს. თუ გავიხსენებთ მისი თუნდაც ერთეული ნახატის ღირებულებას, ნათლად დავინახავთ, თუ რა ოდენობის შემოსავალს დაკარგავს ბიუჯეტი ამ ცვლილებით.

მაგალითად, ბიძინა ივანიშვილის ნახატების კოლექციაში აღმოვაჩენთ პაბლო პიკასოს ცნობილ ნამუშევარს - Dora Maar au Chat-ს, რომელიც მან 2006 წელს ნიუ-იორკის Sotheby's აუქციონზე 95,216,000 აშშ დოლარად შეიძინა. პაბლო პიკასოს ეს ნახატი ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებულია მსოფლიოში.

ეს შეღავათი არ ვრცელდება მხოლოდ კონკრეტულ პირზე, არამედ ყველას ეხება. შესაბამისად, სხვა ოლიგარქებსაც აძლევს საშუალებას, რომ ქონება საქართველოში გადასახადების გარეშე შემოიტანონ.

აქვე, აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 2 ოქტომბერს გამოქვეყნდა ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 1 ოქტომბრის №329 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ამ ცვლილების თანახმად, იმპორტიორი ვალდებულია საგადასახაო ორგანოს წარუდგინოს წინასწარი განცხადება დოკუმენტაცია, იმისათვის, რათა იმპორტის გადასახდელისგან გათავისუფლდეს. დოკუმენტაციების შესწავლის შემდეგ, შემოსავლების სამსახური 10 დღის ვადაში აცნობებს იმპორტიორს გადაწყვეტილებას საქონლის იმპორტის გადასახდელისგან გათავისუფლების თაობაზე.

მინისტრის ბრძანებაში შესული ეს ცვლილება დადებითად შეიძლება შევაფასოთ, თუმცა არ გამორიცხავს იმ რისკებს, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

შეღავათი ქონების გადასახადისგან

ქონების გადასახადისგან გათავისუფლება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეღავათია, რომლის სარგებლობისას მნიშვნელოვან ბენეფიტს მიიღებს კომპანია, რომელიც საქართველოში ძვირადღირებულ ქონებას ფლობს, ხოლო მნიშვნელოვან დანაკარგს - ადგილობრივი ბიუჯეტი.

ამისთვის კი საკმარისია, ოფშორული კომპანია ფლობდეს უძრავ ქონებას და ყოველწლიურად იხდიდეს ქონების გადასახადს, რომელსაც შემდეგ გადასცემს ქართულ საწარმოს (რომელსაც ჰყავს იგივე ბენეფიციური მფლობელი), 2030 წლის 1-ელ იანვრამდე აღარ გადაიხდის ამ აქტივებზე ქონების გადასახადს. საინტერესოა, რომ თავად აქტივების ქართული კომპანიისთვის გადაცემის ოპერაციაც თავისუფლდება მოგების/საშემოსავლო გადასახადისგან.

ქონების გადასახადებისგან გათავისუფლების არც ეს შეღავათი დაწესებულა შემთხვევით , რადგან ერთ მაგალითზე დაყრდნობით ცხადი ხდება, რამდენადაა ის კერძო ინტერესებზე მორგებული.

ე.წ. რიყის დოქები ერთ-ერთი ის „მემკვიდრეობაა“, რომელიც ახალ მთავრობას, ქართულ ოცნებას, 2012 წელს წინა ხელისუფლებისგან ერგო. კონსტრუქცია, რომლის მშენებლობა ჯერ კიდევ მიმდინარეობდა და რომელზეც 98 მლნ იყო დახარჯული, ქართულმა ოცნებამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გააჩერა. 2013 წლიდან ქონება ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე გადავიდა და მას შემდეგ სამინისტოს „ტვირთად“ გადაიქცა . სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ „რიყის დოქები“ აუციონზე მხოლოდ მეექვსე მცდელობაზე გაყიდა. კომპანია კი, რომელმაც აღნიშნული უძრავი ქონება შეიძინა, ოფშორში, ლუქსემბურგში დარეგისტრირებული კომპანია „Global Victory Trust“-ია. უძრავი ქონების ამონაწერის თანახმად, ქონების მესაკუთრე დღესაც ოფშორული კომპანიაა. ხოლო ოფშორული კომპანია Global Victory Trust რუსეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენთან, დავით ხიდაშელთან დაკავშირებული კომპანიაა. აქვე, საინტერესოა ის საინვესტიციო ვალდებულებები, რაც კომპანიამ იკისრა. დოკუმენტაციის თანახმად, „Global Victory Trust“ ვალდებულია, სულ მცირე 20 მლნ ლარის ინვესტიაცია განახორციელოს და ტერიტორიაზე ღვინის, ტექნოლოგიების და ციფრული ხელოვნების მუზეუმები, საგამოფენო და სხვა სივრცეები მოაწყოს 36 თვის განმავლობაში.

გამომდინარე იქიდან, რომ რიყის დოქების პირდაპირი კომპანია ოფშორშია რეგისტრირებული, იმ შემთხვევაში, თუ ოფშორული კომპანია ქონებას ქართულ საწარმოს გადასცემს (რომლის ბენეფიციარი მფლობელიც ისევ დავით ხიდაშელი იქნება), შეძლებს 2030 წლამდე არ გადაიხადოს ქონების გადასახადი. იმის გათვალისწინებით , რომ „რიყის დოქების“ საბაზრო ღირებულება 100 მილიონ ლარამდე აღწევს, კომპანიისთვის შეღავათით სარგებლობა მომგებიანი იქნება, თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისგან განსხვავებით.

დავით ხიდაშელი ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული პირია. 2007-2014 წელს, დავით ხიდაშელი რუსი ოლიგარქის, ვლადიმირ ევტუშენკოვის რუსულ კორპორაცია „სისტემას“ ხელმძღვანელობდა; ევტუშენკოვს, თავის მხრივ, მჭიდრო კავშირები აქვს ბიძინა ივანიშვილთან. ასევე, დავით ხიდაშელი ე.წ. „კარტოგრაფების საქმის“ მთავარი მონაწილე პირია, გამოძიება მის მიერ გადაცემული რუკის საფუძველზე დაიწყო.

დასკვნა

მმართველი პარტიის მხრიდან, ქვეყნის ეკონომიკის კეთილდღეობის არგუმენტით შეფუთული სადასახადო ცვლილება, სინამდვილეში ზიანის მომტანი შეიძლება გახდეს საქართველოს ბიუჯეტისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ ახალი საკანონმდებლო ცვლილებების ამოქმედებიდან მცირე დროა გასული, ამ დროისთვის ტექსტში წარმოდგენილი მაგალითები მხოლოდ ვარაუდის საშუალებას იძლევა.

კვლევაში ნახსენები ოფშორული კომპანიები, სინამდვილეში, საწარმოების მხოლოდ ის მცირე ნაწილია , რომლებიც შეღავათებს მიიღებენ. რეალობაში კი მათი მასშტაბი საკმაოდ დიდია, რაც შესაბამისად აისახება ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლებზეც.

კომპანიები, რომლებიც შეღავათებით ისარგებლებენ, დამატებით მონიტორინგს და კვლევას საჭიროებენ. იქიდან გამომდინარე, რომ დიდი ზომის საწარმოები ხშირად არღვევენ კანონს და არ წარადგენენ ფინანსურ დეკლარაციებს, რეალური სურათის დანახვა რთულია. კანონის სუსტი აღსრულების მექანიზმი სა-

შუალებას აძლევს კომპანიებს ჯარიმის სანაცვლოდ თავი აარიდონ ანგარიშგების წარდგენას და წლიდან წლამდე კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია დამალონ.

ახალი საგადასახადო ცვლილებები მიუთითებს, რომ ის, შესაძლოა, მორგებული იყო კონკრეტულ ბიზნესინტერესებზე, რომლის ნაწილმაც გაუნაწილებელი მოგების შეღავათებით ისარგებლა (ისარგებლებს), სხვები კი, ქონებისა და იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლდებიან. ეს უკანასკნელი შეღავათი კი განსაკუთრებით ხელსაყრელი იქნება, როგორც ბიძინა ივანიშვილისთვის, ისე სხვა ქვეყნების ოლიგარქებისთვისაც.

დასავლეთში აქტიურად დაიწყო საუბრები ბიძინა ივანიშვილის მოსალოდნელ სანქციებზე. 20 სექტემბერს, "ამერიკის ხმამ" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც შეერთებულმა შტატებმა, ქართველი ოლიგარქის წინააღმდეგ საქნციების პაკეტი შეიმუშავა, რომლის დაწესებასაც უახლოეს მომავალში იგეგმება.

შესაბამისად, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება კიდევ უფრო ამყარებს ეჭვს, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობს მოსალოდნელი სანქციებისგან თავის ასარიდებლად შესაბამისი გარემო შეუქმნას ბიზნესმენებსა თუ ოლიგარქებს.

საკანონმდებლო ცვლილებების მიღების კონტექსტის ანალიზი პოლიტიკური რეჟიმების კვლევის პერსპექტივიდან

შესავალი

„ქართული ოცნების" მიერ „უცხოური გამჭვირვალობის შესახებ" კანონის (შემდგომში „რუსული კანონი") განხილვის პარალელურად საგადასახადო კოდექსში ოფშორულ კომპანიებთან დაკავშირებული ცვლილებების დაჩქარებული წესით მიღებამ, საზოგადოებაში, ამ კანონის მიღების შესაძლო მიზეზებსა და მოსალოდნელ შედეგებზე, მრავალმხრივი დისკუსია გამოიწვია. წინამდებარე თავი მიზნად ისახავს, ეს საკითხი პოლიტიკური რეჟიმების შედარებითი კვლევების პერსპექტივიდანაც შეაფასოს. კერძოდ, პირველი ნაწილი მიმოიხილავს, რა ტიპის პოლიტიკურ რეჟიმს წარმოადგენს საქართველო „ქართული ოცნების" მმართველობის პირობებში, როგორია მსგავს რეჟიმებში პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების ურთიერთქმედება და რა ზეგავლენა აქვთ ეკონომიკურ ელიტებს ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრაზე. მეორე ნაწილი იმსჯელებს, რამდენად შესაძლებელია, რომ ამ კანონმა გააძლიეროს „ქართული ოცნების" პოლიტიკური რეჟიმის სტაბილურობა და თეორიულად რა ზეგავლენას მოახდენს ის საქართველოს დემოკრატიზაციისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესზე.



საქართველო ავტორიტარიზმის ზღვარზე

Freedom House-ის 2024 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველო ავტოკრატიზაციის ტენდენციის მქონე ჰიბრიდულ რეჟიმად მიიჩნევა.[24] ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ტარდება რეგულარული და მეტ-ნაკლებად კონკურენტული არჩევნები, თუმცა მზარდია პოლიტიკურ ინსტიტუტებზე ოლიგარქიული ინტერესების ზეგავლენა, იზღუდება ოპოზიციის, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის თავისუფლება და სისტემურად ირღვევა პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები.[25] „რუსულმა კანონმა“, რომელიც ხელისუფლებამ მასობრივი საზოგადოებრივი პროტესტისა და საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობის დაზიანების ფასად მიიღო, კიდევ უფრო ცხადად გამოავლინა „ქართული ოცნების“ ავტორიტარული განზრახვები და ძალაუფლების კონსოლიდაციისკენ სწრაფვა.

იმის რეალისტურად გასააზრებლად, თუ რამდენად აქვს „ქართულ ოცნებას“ არადემოკრატიული მეთოდებით პოლიტიკური ძალაუფლების ხანგრძლივად შენარჩუნების შესაძლებლობა და როგორია მისი ფუნქციონირების ლოგიკა, აუცილებელია, გვესმოდეს, ზოგადად რას ეყრდნობა არადემოკრატიული რეჟიმების ძალაუფლება და სიცოცხლისუნარიანობა.

არადემოკრატიული ძალაუფლების სამი საყრდენი

პოლიტიკის მეცნიერებაში არადემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმების სტაბილურობის ახსნას მრავალი თეორია ცდილობს. ამ თეორიების მთავარი მიზანია, დაადგინონ, რატომ ინარჩუნებს ზოგიერთი არადემოკრატიული რეჟიმი სიცოცხლისუნარიანობას ხანგრძლივად, ზოგიერთი კი მალევე ასრულებს არსებობას. ამ მცდელობებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ე.წ. სამი სვეტის თეორიაა, რომელიც იოჰანეს გერშევსკის ეკუთვნის. ამ თეორიული ჩარჩოს მიხედვით, ნებისმიერი არადემოკრატიული რეჟიმის სტაბილურობა დამოკიდებულია სამი ინსტრუმენტის - ლეგიტიმაციის, რეპრესიისა და კოოპტაციის - კომბინირებულად და დაბალანსებულად გამოყენებაზე.26 ზოგიერთი ავტორის აზრით, არადემოკრატიული რეჟიმის ლეგიტიმურობაზე მსჯელობა თავისთავად პარადოქსია, რადგან ამგვარი რეჟიმის არადემოკრატიულობა, პირველ რიგში, სწორედ იქიდან გამომდინარეობს, რომ ის ნაკლებად არის დამოკიდებული ხალხის ნებაზე.

თუმცა პოლიტიკური რეჟიმების სიცოცხლისუნარიანობასთან დაკავშირებული ემპირიული კვლევები აჩვენებენ, რომ არადემოკრატიული რეჟიმის სტაბილურობის ქვაკუთხედიც ლეგიტიმურობაა და სწორედ მასთან მიმართებით გამოიყენება ძალაუფლების შენარჩუნების სხვა ინსტრუმენტები.

ლეგიტიმაცია გულისხმობს ხელისუფლების მიერ ფართო საზოგადოების თვალში ძალაუფლების ფლობის გამართლებას.27 ლეგიტიმაციის წყარო შეიძლება იყოს პოლიტიკური იდეოლოგია, პროპაგანდა, პრაქტიკული მიღწევები (მაგ., ეკონომიკური ზრდა) თუ სხვა საშუალებები, რომლებიც საზოგადოებაში ჩამოაყალიბებს განცდას, რომ ლიდერს აქვს შესაძლებლობა და უფლება (არადემოკრატიულობის მიუხედავად), რომ მართავდეს სახელმწიფოს.[28] ლეგიტიმაცია არ გულისხმობს მხოლოდ აქტიურ პოლიტიკურ მხარდაჭერას. ის ასევე მოიცავს ფართო საზოგადოების პასიურ თანხმობასაც არადემოკრატიული ლიდერის პოლიტიკურ მმართველობაზე.

რეპრესიები არადემოკრატიული რეჟიმების მთავარი დასაყრდენია. ის შეიძლება იყოს როგორც დაბალი (მაგ., არაპირდაპირი შევიწროება) და მაღალი ინტენსივობის (მაგ., ხანგრძლივი პატიმრობა) და ჰქონდეს როგორც მასობრივი,

[24] Freedom House. „Nations in Transit.“ 2022. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/qeo1YuY1. განახლებულია: 13.06.2024.
[25] იქვე.
[26] Gerschewski, Johannes. 2013. „The Three Pillars of Stability: Legitimation, Repression, and Co-Optation in Autocratic Regimes.“ Democratization 20 (1): 13–38, 14.
[27] იქვე.
[28] იქვე, 19.

ისე შერჩევითი ხასიათი.[29]

მესამე საყრდენია კოოპტაცია, რომელსაც ხელისუფლება სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ჯგუფების მისამხრობად იყენებს.[30] ასეთი ჯგუფები შეიძლება იყვნენ ოპოზიციური პარტიები, ინტელექტუალები, ეკონომიკური ელიტა და სხვა გავლენიანი სუბიექტები. კოოპტაციის მიზნით ხელისუფლებამ შეიძლება გამოიყენოს როგორც ფორმალური ბერკეტები (მაგ., პოლიტიკური თანამდებობები), ისე არაფორმალური გავლენები (მაგ., კორუფციული სქემები).[31] არასტაბილურობისა და კრიზისების დროს არადემოკრატიული რეჟიმები განსაკუთრებით მიდრეკილნი არიან სტრატეგიული ჯგუფების მხარდაჭერის მოსაპოვებლად „გრანდიოზული ჟესტების“ გამოყენებისკენ.[32]

არადემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის სტაბილურობა დამოკიდებულია ზემოთ ჩამოთვლილი სამი საყრდენის დაბალანსებულად და სტრატეგიულად გამოყენებაზე. ჩვეულებრივ, ლეგიტიმაცია ფართო მასების მხარდაჭერის მოპოვებას ემსახურება, რეპრესიები აქტიური მოწინააღმდეგეების დასაშინებლად გამოიყენება, ხოლო კოოპტაცია იმ ჯგუფების გადმობირებას ისახავს მიზნად, რომელთა მხარდაჭერასაც რეჟიმის სტაბილურობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუმცა მათ მიმართ ძალადობის გამოყენება შეიძლება ზედმეტად სარისკო იყოს.[33]

ხელისუფლების მტკიცებით, „ოფშორების კანონის“ მიღების მიზანი ქვეყნისთვის ეკონომიკური სარგებლის მოტანაა, თუმცა ამის დასამტკიცებლად მას არცერთი ფაქტობრივი მტკიცებულება არ წარმოუდგენია.[34] კანონის სამართლებრივი ანალიზი აჩვენებს, რომ საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებისგან პირდაპირ ფინანსურ სარგებელს ოფშორებში ფინანსური აქტივების მფლობელი ქართული და უცხოური საწარმოები შეძლებენ. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ კანონის რეალური მიზანი ქართული ეკონომიკური ელიტის მხარდაჭერის გაძლიერება და უცხოეთიდან საქართველოში ისეთი ტიპის ეკონომიკური ჯგუფების მოზიდვაა, რომლებიც ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შესანარჩუნებლად მომავალში მხარს სწორედ „ქართულ ოცნებას“ დაუჭერენ. ამდენად, კანონმა შესაძლებელია წვლილი შეიტანოს ხელისუფლების მიერ ძალაუფლების კონსოლიდაციაში, რადგან საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებით დაინტერესებული ეკონომიკური და ფინანსური აქტორები ხელს შეუწყობენ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების სათავეში დარჩენას.

შემდგომი ქვეთავი განიხილავს, თუ რატომ არის საქართველოს მსგავსი პოლიტიკური რეჟიმებისთვის ეკონომიკური ელიტების მხარდაჭერა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და რა ზეგავლენა აქვს ეკონომიკურ ინტერესებს პოლიტიკურ პროცესებზე.

საქართველო - ევრაზიული პატრონალისტური რეჟიმი

90-იან წლებში, რამდენიმე ათეული სახელმწიფოს დიქტატურული მმართველობისგან განთავისუფლების შემდეგ, რომელსაც „დემოკრატიზაციის მესამე ტალღას“ უწოდებენ, პოლიტიკური რეჟიმების კვლევებში დომინანტური ადგილი მოიპოვა ე.წ. ტრანზიციის თეორიამ, რომლის თანახმადაც ახლად განთავისუფლებულმა სახელმწიფოებმა ლიბერალური დემოკრატიის მისაღწევად დემოკრატიზაციის გარდამავალი და წრფივი პროცესი უნდა გაირო[6].[35] პოსტკომუნისტურ ქვეყნებში დემოკრატიზაციის პროცესის ანალიზისას მკვლევრები დიდი ხნის განმავლობაში ძირითადად მხოლოდ ფორმალური პოლიტიკური ინსტიტუტების ხარისხის შეფასებით შემოიფარგლებოდნენ. საერთაშორისო აქტორების რეკომენდაციებიც უმეტესად სწორედ ფორმალური პოლიტიკური ინსტიტუტების რეფორმებთან იყო დაკავშირებული. თუმცა, 2000-იან წლებში უკვე ნათელი

[29] იქვე, 21.
[30] იქვე, 22.
[31] იქვე.
[32] Bertocchi, Graziella, and Michael Spagat. 2001. „The Politics of Co-Optation.“ Journal of Comparative Economics 29 (4): 591–607, 606.
[33] Gerschewski, Johannes. 2013. „The Three Pillars of Stability: Legitimation, Repression, and Co-Optation in Autocratic Regimes.“ Democratization 20 (1): 13–38, 25.
[34] რადიო თავისუფლება. „პარლამენტმა „ოფშორების კანონზე“ პრეზიდენტის ვეტო დაძლია“. 29.05. 2024. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/1eo0wXcz. განახლებულია: 13.06.1998.
[35] Schmitter, Philippe C. Review of Democracy's Third Wave, by Samuel P. Huntington. The Review of Politics 55, no. 2 (1993): 348–51.

გახდა, რომ ტრანზიტულ სახელმწიფოებში დემოკრატიის ხარისხი ყოველთვის არ უმჯობესდებოდა და მათი დიდი ნაწილი დემოკრატიასა და ავტორიტარიზმს შორის არსებულ ერთგვარ „ნაცრისფერ ზონაში“ იყო მომწყვედული. ამ თვისებრივად ახალი მდგომარეობის აღსაწერად ახალი ტერმინი - ჰიბრიდული რეჟიმიც დამკვიდრდა.[36] ტრანზიციის პარადიგმის დასასრულმა მკვლევრებს უბიძგა, რომ უფრო კრიტიკულად შეეფესებინათ „მესამე ტალღის“ სახელმწიფოების ისტორიული და პოლიტიკური გამოცდილება და მეტი ყურადღება მიეპყროთ ამ რეგიონში არაფორმალური ინტერესებისა და აქტორების როლზე.[37] ამ კონტექსტში ბევრმა მკვლევარმა შენიშნა პოსტკომუნისტურ რეგიონში პოლიტიკურ ცხოვრებაზე ეკონომიკური ინტერესების ჭარბი ზეგავლენა, რაც გამოიხატა ისეთი კონცეპტუალური ჩარჩოების განვითარებაში, როგორიცაა „კლეპტოკრატია“, „პატრონალიზმი“, „კლიენტელიზმი“ და „კრონიზმი“.[38] თუმცა, ფორმალურ პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და არაფორმალურ ეკონომიკურ თუ საზოგადოებრივ ინტერესებს შორის სისტემური კავშირის სრულყოფილად ასახსნელად, აუცილებელია საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროებს შორის საზღვრების თეორიული დემარკაცია და მათი ურთიერთქმედების ლოგიკის გამოვლენა. გერმანელი სოციოლოგის, კლაუს ოფეს, თეორიის მიხედვით, ზოგადად ადამიანის საზოგადოებრივი ქმედება სამ სფეროში შეიძლება გადანაწილდეს. ეს არის (1) პოლიტიკური, რომელიც მიემართება სახელმწიფო ინსტიტუტებსა და მათ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ პრინციპებს; (2) ეკონომიკური, რომელიც გულისხმობს საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებულ რეგულაციებსა და სახელშეკრულებო ურთიერთობებს და (3) საზოგადოებრივი, რომელიც გულისხმობს სოციალურ ჯგუფთან მიკუთვნებულობიდან მომდინარე ქმედებებს (მაგ., კულტურული და ტრადიციული ვალდებულებების შესრულება).[39] ბალინტ მაგიარი და ბალინტ მადლოვიჩი თავიანთ წიგნში, „პოსტკომუნისტური რეჟიმების ანატომია“, სწორედ ამ თეორიულ ჩარჩოს ეყრდნობიან პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ასახსნელად. მათი მტკიცებით, საზოგადოებრივი ცხოვრების ამ სამი სფეროს ურთიერთგამიჯვნამ სრულყოფილი სახე დასავლეთ ევროპის საზოგადოებებში მიიღო, ხოლო პოსტკომუნისტურ რეგიონში პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროები, ერთმანეთისგან მკაფიოდ არ არის გამიჯნული, რაშიც წვლილი შეიტანა როგორც საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროში ყოფნის დროს განვითარებულმა ფართო არაფორმალური სტრუქტურების ქსელმა, ისე ამ საზოგადოებებში სეკულარიზმის ტრადიციის შედარებითმა სისუსტემ.[40] ემპირიულად საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური სფეროების ურთიერთგამიჯვნის სისუსტე გამოიხატება იმაში, რომ აქტორები სამივე სფეროში ერთი, ჯამური „იდენტობით“ მოქმედებენ - პოლიტიკურ ინტერესებზე ზეგავლენას ახდენს აქტორების ეკონომიკური და სოციალური ინტერესებიც და, შესაბამისად, ფორმალური პოლიტიკური ინსტიტუტები, ჯგუფური და ეკონომიკური ინტერესებიდან მომდინარე, არაფორმალურ გავლენებს ინტენსიურად განიცდიან.

პოლიტიკურ პროცესებზე პერსონალური ინტერესების ჭარბი გავლენის პირობებში ყალიბდება პატრონალისტური სისტემა, რომელშიც პოლიტიკური ძალაუფლება დაფუძნებულია არა აბსტრაქტულ და საყოველთაო პრინციპებზე, არამედ მატერიალური და პერსონალიზებული ჯილდოებისა და სასჯელების გაცვლის იერარქიულ სისტემაზე.[41] ასეთი პატრონალისტური ქსელები, როგორც წესი, ფორმალური პოლიტიკური ინსტიტუტების მიღმა არსებობენ, თუმცა რეალური პოლიტიკური ძალაუფლების მთავარი საყრდენები სწორედ ამგვარი არაფორმალური ქსელების წიაღიდან იღებს სათავეს.[42] ასეთი ქსელების სათავეში სიმბოლური და მატერიალური ძალაუფლების მქონე პატრონები დგანან, რომლებიც, ევრაზიული პოლიტიკის კონტექსტში,

[36] Carothers, Thomas. “The End of the Transition Paradigm”. Journal of Democracy 13, no. 1 (January 2002): 5-21.
[37] Magyar, Bálint, Alena Ledeneva, and Bálint Madlovics. 2022. The Anatomy of Post-Communist Regimes: A Conceptual Framework. Budapest: Central European University Press, 10.
[38] იქვე, 11.
[39] იქვე, 31.
[40] იქვე, 12.
[41] Hale, Henry E. 2014. Patronal Politics: Eurasian Regime Dynamics in Comparative Perspective. New York, New York: Cambridge University Press, 9.
[42] Magyar, Bálint, Alena Ledeneva, and Bálint Madlovics. 2022. The Anatomy of Post-Communist Regimes: A Conceptual Framework. Budapest: Central European University Press, 41.

როგორც წესი, ოლიგარქებად მოიხსენიებიან.[43]

პატრონის ძალაუფლებას სამი მთავარი საყრდენი აქვს. ესენია: 1) მოკავშირეების დასაჯილდოებლად საჭირო მატერიალურ რესურსებზე წვდომა; (2) სადამსჯელო და დამაჯილდოებელი აქტების შესრულების შესაძლებლობა, რაც მოითხოვს პოლიტიკურ ინსტიტუტებზე პირდაპირი გავლენის ქონას და (3) კლიენტებისა და ქვეპატრონების (შედარებით დაბალი რანგის პატრონები, რომლებიც მთავარ პატრონს ექვემდებარებიან, მაგრამ საკუთარი კლიენტებიც ჰყავთ) ზედამხედველობის უნარი, რაც მიანიშნებს ძალაუფლების განკარგვისთვის საჭირო ორგანიზებული ქსელების არსებობის საჭიროებაზეც.[44] ამდენად, ძალაუფლების შესანარჩუნებლად პატრონი უნდა ფლობდეს როგორც საკმარის მატერიალურ ქონებას, ისე პოლიტიკურ ძალაუფლებას და მართვის რესურსებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პატრონალიზმი ევრაზიულ სახელმწიფოებში პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად ფორმად ჩამოყალიბდა, თუმცა მისი ინტენსივობა განსხვავებული იყო სახელმწიფოების მიხედვით.[45] მაგალითად, ჰენრი ჰეილის კლასიფიკაციის მიხედვით, ყველაზე ნაკლებად პატრონალისტური ქვეყნები აღმოჩნდნენ ხორვატია, ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი, სლოვენია და აღმოსავლეთ გერმანია; მეტნაკლებად პატრონალისტური - ესტონეთი, ლიეტუვა, ლატვია, სერბეთი და სლოვაკეთი; ყველაზე პატრონალისტური კი - ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსია, ბულგარეთი, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მაკედონია, მოლდოვა, რუმინეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა და უზბეკეთი.46 ამ უკანასკნელი კატეგორიის ქვეყნებში ეკონომიკური ძალაუფლების მქონე პირებმა წარმატებით შეძლეს საკუთარი ფინანსური რესურსების გამოყენებით პოლიტიკაზე ზეგავლენის მოპოვება.

საქართველოსთან დაკავშირებით ჰენრი ჰეილი აღნიშნავს, რომ ევრაზიულ პოლიტიკურ რეჟიმებში ის ერთ-ერთი სახელმწიფოა, რომელიც გამუდმებით განიცდის როგორც დემოკრატიზაციის, ისე ავტოკრატიზაციის ეპიზოდებს. ის ასევე მიუთითებს, რომ „ვარდების რევოლუციის“ შედეგად საქართველოში პატრონალისტური პირამიდის სათავეში მყოფი მთავარი ლიდერი შეიცვალა, თუმცა სისტემა და ურთიერთობათა არქიტექტურა ძირითადად უცვლელი დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ გარკვეული პროგრესი განიცადა ინსტიტუციონალური რეფორმებისა და კორუფციის შემცირების მიმართულებით. უფრო მეტიც, თუ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში პატრონალისტური ქსელები ძირითადად ქაოტური და თვითრეგულირებული იყო, სააკაშვილის მმართველობის პერიოდში სახელმწიფოს ადმინისტრაციული ფუნქციების გაძლიერებამ და ერთპიროვნული მმართველობის ტენდენციებმა ხელი შეუწყო პატრონალისტური ქსელების განმტკიცებასა და სისტემატიზებას.[47]

პატრონალიზმთან ყველაზე თავსებადი სახელმწიფო მოწყობის ფორმა ძლიერი საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, სადაც პრეზიდენტი არა მარტო ფორმალურად უდგას სათავეში სახელმწიფოს, არამედ წარმოადგენს პატრონალისტური პირამიდის სათავეში მყოფ ერთპიროვნულ პატრონსაც.[48] შესაბამისად, მასში თავს იყრის როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური ძალაუფლების საწყისები. ერთი შეხედვით, საპარლამენტო მოდელი, მისი თეორიულად პლურალისტური ბუნების გამო, ნაკლებად თავსებადი უნდა იყოს პატრონალისტურ საზოგადოებასთან, თუმცა, თუ არჩევნების საშუალებით საკანონმდებლო ორგანოში დომინანტურ პოზიციას ერთი პოლიტიკური ჯგუფი და მასთან დაკავშირებული არაფორმალური ქსელი მოიპოვებს, მაშინ ინტერესთა ამ ჯგუფს საპარლამენტო უმრავლესობის გამოყენებით შეუძლია ძალაუფლება მთელ პოლიტიკურ სისტემასა და ეკონომიკურ რესურსებზე გაავრცელოს.[49]

[43] Hale, Henry E. 2014. Patronal Politics: Eurasian Regime Dynamics in Comparative Perspective. New York, New York: Cambridge University Press, 30.
[44] იქვე, 31.
[45] Ledeneva, Alena V. 2006. How Russia Really Works: The Informal Practices That Shaped Post-Soviet Politics and Business. Ithaca; London: Cornell University Press, 25.
[46] Hale, Henry E. 2014. Patronal Politics: Eurasian Regime Dynamics in Comparative Perspective. New York, New York: Cambridge University Press, 61.
[47] იქვე, გვ. 13.
[48] იქვე, 82.
[49] იქვე, 372.

რუსეთისა და უკრაინისგან განსხვავებით, სადაც პოლიტიკაში ოლიგარქთა მრავალრიცხოვანმა და ხშირად ურთიერთდაპირისპირებულმა ჯგუფებმა შეაღწიეს[50] საქართველოში ხანგრძლივი პოლიტიკური ძალაუფლება მხოლოდ ერთმა ოლიგარქმა - ბიძინა ივანიშვილმა მოიპოვა, რომელმაც თავისი ქონება რუსეთში დააგროვა.[51] თუ 2003-2010 წლებში საქართველოში პატრონალიზმი ძირითადად საპრეზიდენტო მმართველობის იერარქიულ მოდელში გამოიხატებოდა, სადაც პოლიტიკური ინსტიტუტები მეტ-ნაკლებად ეკონომიკური ელიტების ინტერესებსაც გამოხატავდნენ, ხოლო ცალკეული ოლიგარქები (მაგ., დავით გამყრელიძე, ლევან გაჩეჩილაძე, კახა თარგამაძე და ბადრი პატარკაციშვილი[52]) მხოლოდ პერიოდულად ან/და ფრაგმენტულად ახერხებდნენ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებას, 2012 წლის შემდეგ „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში, საქართველო ფორმალური პოლიტიკური ინსტიტუტების მძლავრი და არაფორმალური ფინანსური ინტერესების ტყვეობაში მოქცევის ცხად შემთხვევად ჩამოყალიბდა. მიუხედავად იმისა, რომ პარტიის დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი ფორმალურად არცერთ პოლიტიკურ ინსტიტუტს არ ხელმძღვანელობს, არ არის ჩართული ყოველდღიურ პოლიტიკურ პროცესებში და რამდენჯერმე პოლიტიკიდან ოფიციალურადაც „წავიდა“, საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის აქსიომაა, რომ „ქართულ ოცნებას“, როგორც პოლიტიკურ პარტიას, არ აქვს საკუთარი პოლიტიკური იდენტობა, მისი პოლიტიკური საქმიანობა ბიძინა ივანიშვილის ინტერესების უპირობოდ დაცვას ემსახურება და საჯარო სივრცეში მისი მთავარი როლი სწორედ ამ უკანასკნელის არაფორმალური და ფარული ძალაუფლების ფასადად ყოფნაა. მას შემდეგ, რაც 2023 წელს ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში კიდევ ერთხელ „დაბრუნდა“, ამჯერად „ქართულ ოცნებაში“ საპატიო თავმჯდომარის პოზიციაზე, საიდანაც მას პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის წარდგენის უფლებამოსილებაც აქვს,[53] საზოგადოებისთვის კიდევ უფრო ნათელი გახდა, რომ პოლიტიკიდან ის სინამდვილეში არც არასოდეს წასულა და „ქართული ოცნება“ ყოველთვის მის ფინანსურ და პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა.

პოლიტიკურ ინსტიტუტებზე ბიძინა ივანიშვილი მჭიდრო ზეგავლენას პირველ რიგში საკვანძო თანამდებობებზე მასთან დაახლოებული პირების დანიშვნით ინარჩუნებს. მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედი მინისტრი ვახტანგ გომელაური მისი პირადი დაცვის ყოფილი უფროსია, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გრიგოლ ლილუაშვილი ივანიშვილის კუთვნილებაში არსებული ერთ-ერთი კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი იყო, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მანამდე ბიძინა ივანიშვილის პირადი ასისტენტი იყო, ყოფილი მთავარი პროკურორი და უზენაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლე შალვა თადუმაძე ივანიშვილის პირადი ადვოკატის პოზიციას იკავებდა, ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ეკატერინე ტიკარაძე ივანიშვილის ოჯახთან დაახლოებული სტომატოლოგი იყო და მრავალი სხვ.[54] ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ ივანიშვილი პოლიტიკურ ინსტიტუტებს თავისთან დაახლოებული პირების მეშვეობით, არაფორმალური კავშირების მეშვეობით აკონტროლებს და ეს გავლენა კონსტიტუციური წესრიგის მიღმა, მერიტოკრატიის, შეკავება-გაწონასწორების, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დემოკრატიული პრინციპების სრული უგულებელყოფით ხორციელდება.

კიდევ ერთი მთავარი ნიშანი ბიძინა ივანიშვილის ჭარბი არაფორმალური გავლენისა, გამოიხატება მაღალი რანგის პოლიტიკური თანამდებობის პირების მიდრეკილებაში, გააიგივონ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები ბიძინა ივანიშვილის პირად ინტერესებთან. მაგალითად, 2022 წელს, როდესაც ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც საუბარი იყო ქართულ პოლიტიკაზე ბიძინა ივანიშვილის ნეგატიურ ზეგავლენასა და რუსეთთან მის მჭიდრო კავშირებზე,

[50] Ledeneva, Alena V. 2006. How Russia Really Works: The Informal Practices That Shaped Post-Soviet Politics and Business. Ithaca; London: Cornell University Press, 163.
[51] იქვე, 106.
[52] Hale, Henry E. 2014. Patronal Politics: Eurasian Regime Dynamics in Comparative Perspective. New York, New York: Cambridge University Press, 126.
[53] Civil Georgia. „ქართული ოცნების“ განახლებული წესდება „საპატიო თავჯდომარეს“ ძალაუფლებას ფორმალურად ანიჭებს". 10.01.2024. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/576705. განახლებულია: 06.08.2024.
[54] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო. „ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი - საქართველოს რეალური მმართველი და ქვეყნის რუსული საგარეო კურსის ავტორი". 29.05.2024. ხელმისაწვდომია: https://transparency.ge/ge/post/. განახლებულია: 06.08.2024.

ქვეყნის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა საპროტესტო წერილით მიმართა ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენს და აღნიშნა, რომ „ევროპარლამენტის რეზოლუციის აღნიშნული ჩანაწერები არ ეფუძნება არავითარ დასაბუთებას და საქართველოში მოქმედი მმართველობის სისტემის დისკრედიტირებას ისახავს მიზნად“.[55] გარდა ამისა, 2022 წელს შვეიცარიულ ბანკ „Credit Suisse“-სა და ბიძინა ივანიშვილს შორის მიმდინარე კერძო დავა „ქართული ოცნების“ მაშინდელმა თავმჯდომარემ და ქვეყნის მოქმედმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ დაუკავშირა დასავლური სახელმწიფოების მცდელობას, საქართველოსთვის ომში ჩართვისკენ ებიძგებინათ.[56] ეს მოსაზრება შემდგომში „ქართული ოცნების“ ანტიდასავლური პროპაგანდის ერთ-ერთ მთავარ ხაზად იქცა და მივიდა მტკიცებამდე, რომ აშშ-მა ბიძინა ივანიშვილი ომში ჩართვაზე უარის თქმის გამო არაფორმალურად დაასანქცირა.[57]

ამდენად, „ოფშორების კანონის“ მიღების შესაძლო მოტივებზე მსჯელობისას გამართლებულია დაშვება, რომ გარდა ეკონომიკური ელიტისა და მსხვილი ბიზნეს-ჯგუფების კოოპტაციისა, ამ კანონის მიღების რეალური მიზეზი სწორედ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების დაცვაა. კანონი ივანიშვილს შესაძლებლობას მისცემს, რომ შეღავათიანი საგადასახადო პოლიტიკის პირობებში, ქვეყანაში დამატებითი ხარჯის გარეშე შემოიტანოს ოფშორებში რეგისტრირებული საკუთარი ქონება. ეს ჰიპოთეზა განსაკუთრებით სარწმუნოა იქიდან გამომდინარე, რომ პატრონალისტურ სისტემაში ეკონომიკაში ინტერვენციის მთავარი მოტივაცია სწორედ პატრონის/ოლიგარქის ეკონომიკური ინტერესების დაცვა და მოგების მაქსიმიზაციაა.[58]

ნეოლიბერალიზმი და უცხოურ კაპიტალზე დამოკიდებული ეკონომიკა

საქართველოში, როგორც პოსტკომუნისტური ტრანზიტული ეკონომიკის ქვეყნების დიდ ნაწილში, 90-იანი წლებიდან ეკონომიკური განვითარების მოდელი დაეფუძნა ლიბერალიზაციის, პრივატიზაციის და დერეგულაციის პოლიტიკას, რომელიც გულისხმობდა უცხოური კაპიტალისა და ინვესტიციების მოზიდვაზე ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მშენებლობას.[59] ამ მიდგომამ სახელმწიფო იდეოლოგიის სახე მიიღო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში, რომელიც ნეოლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას არა მხოლოდ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მთავარ საშუალებად, არამედ ქვეყანაში კორუფციის, არაფორმალური გავლენებისა და ოლიგარქიული ტენდენციების შემცირების გზადაც მიიჩნევდა.[60] აღსანიშნავია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ნეოლიბერალური ეკონომიკური რეფორმები პატრონალიზმის ძველი სტრუქტურების განმტკიცებისა და ახალი ქსელების შექმნის პარალელურად ხორციელდებოდა. ეს კავშირები ერთპიროვნული მმართველობისა და ფორმალური პოლიტიკური ინსტიტუტების მშენებლობის კონტექსტში ყალიბდებოდა, რამაც მათ სინერგიას ახლებური, ხშირად იერარქიული და იძულებითი, ხასიათი შესძინა. სწორედ ამიტომ, ჰენრი ჰეილი აღნიშნავს, რომ სააკაშვილის მმართველობა პატრონალიზმის ერთ-ერთი ის იშვიათი შემთხვევა იყო, როდესაც არაფორმალური ქსელების ჩამოყალიბების დროისთვის, მმართველ ძალას რეალური პოლიტიკური იდეოლოგიაც ჰქონდა.

„ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლამდე აქტიურად აკრიტიკებდა „ნაციონალური მოძრაობის“ ლიბერტარიანულ პოლიტიკას,[61] თუმცა „ოცნების“ მმართველობის 12-წლიან პერიოდში მისი პატრონალისტური ქსელი წარმატებით ინტეგრირდა ნეოლიბერალურ საბაზრო ეკონომიკაში. შესაბამისად, საქართველოში ნეოლიბერალური ეკონომიკური სტრუქტურის ფუნდამენტური რეფორმა არასოდეს

[55] ინტერპრესნიუსი. „ირაკლი ღარიბაშვილი ურსულა ფონ დერ ლაიენს წერილით მიმართავს“. 18.07.2022. ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/719766-irakli-garibashvili-ursula-pon-der-laiens-cerilit-mimartavs. განახლებულია: 06.08.2024.

[56] Civil Georgia. „ივანიშვილის შვეიცარიულ ბანკთან დავის ფონზე, „ოცნება“ მიანიშნებს, რომ აშშ საქართველოს ომისკენ უბიძგებს“. 11.05.2022. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/489858. განახლებულია: 06.08.2024.

[57] ტაბულა. „ო'ბრაიენი ივანიშვილზე: გავლენიანი პირისთვის ასე ცუდად ინფორმირებულობა შოკისმომგვრელია“. 14.05.2024. ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/718153-. განახლებულია: 06.08.2024.

[58] Magyar, Bálint, Alena Ledeneva, and Bálint Madlovics. 2022. The Anatomy of Post-Communist Regimes: A Conceptual Framework. Budapest: Central European University Press, 363.

[59] Timm, Christian. 2013. „Economic Regulation and State Interventions: Georgia's Move from Neoliberalism to State Managed Capitalism.“ PFH Forschungspapiere/Research Papers, 14.

[60] იქვე.

[61] ტაბულა. 2012. „ეკონომიკური პოლიტიკა „ქართული ოცნების“ საარჩევნო პროგრამაში“. 31.08.2012. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/5eo053sd. განახლებულია: 13.06.2024.

დამდგარა დღის წესრიგში და ქვეყანა კვლავ უმუშევრობისა და გარე მიგრაციის მაღალი მაჩვენებლით, ნეგატიური სავაჭრო ბალანსით, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ტურიზმზე ჭარბი დამოკიდებულებით გამოირჩევა.[62]

საქართველოში არსებული ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის გადახედვის საჭიროებაზე მიუთითებს მრავალი სტატისტიკური მაჩვენებელი. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში მცირედით შემცირდა აბსოლუტური სიღარიბე, კვლავ კრიტიკულად მაღალი რჩება ფარდობითი სიღარიბის დონე, რომელიც 2023 წელს 19.8%-ს უტოლდებოდა.[63] გარდა ამისა, 2023 წელს ისტორიული მაქსიმუმს მიაღწია სახელმწიფოს მხრიდან საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობამ და მთლიანი მოსახლეობის თითქმის 18% შეადგინა (676 641 ადამიანი).[64] სტაბილურად მაღალია სოციალური უთანასწორობის დონეც - 2023 წლის მონაცემებით, ჯინის კოეფიციენტი 0.36-ს უტოლდება.[65] სიღარიბისა და სოციალური უთანასწორობის თანმდევი ერთ-ერთი შედეგია ქვეყნიდან მოქალაქეების მასობრივი გადინებაც: 2023 წელს საქართველო რეკორდული რაოდენობის - 163 000-მა ადამიანმა დატოვა.[66]

პატრონალისტურ სისტემაში სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, პირველ რიგში, პატრონისა და მისი არაფორმალური ქსელის ინტერესების დაცვას ემსახურება, თუმცა ამ მოტივაციის შესანიღბად პატრონი ცდილობს, რომ კერძო და საჯარო ინტერესების გამყოფი ხაზი მიზანმიმართულად ბუნდოვანი გახადოს.[67] სწორედ ამიტომ, „ქართულმა ოცნებამ“ „ოფშორების კანონის“ მიღების გასამართლებლად ნეოლიბერალიზმის დისკურსის ინსტრუმენტალიზება სცადა, როდესაც შემსუბუქებული საგადასახადო პოლიტიკა და უცხოური კაპიტალის ქვეყანაში მოზიდვა იმთავითვე ქვეყნის ეკონომიკის ზრდას და საზოგადოებრივ კეთილდღეობას დაუკავშირა.[68]

აღსანიშნავია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები თავისთავად არ იწვევს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. თუ ქვეყანაში მათ შემოდინებას თან არ ახლავს ინდუსტრიული და ტექნოლოგიური განვითარება და სათანადოდ არ არის დაცული სამართლის უზენაესობა და ადამიანის უფლებები, მოსალოდნელია, რომ სახელმწიფო ჭარბად დამოკიდებული გახდება უცხოურ კაპიტალზე, გაღრმავდება სოციალური უთანასწორობა, გაიზრდება ადგილობრივი მუშახელისა და გარემოს ექსპლუატაციის რისკები და გაფართოვდება პოლიტიკურ პროცესებზე ეკონომიკური აქტორების არაფორმალური გავლენები.[69]

ეს რისკები გაცილებით უფრო მწვავე და მასშტაბურია იმ შემთხვევაში, თუ უცხოური კაპიტალი ქვეყანაში ოფშორული ზონებიდან შემოედინება, რადგან ოფშორებში ფინანსური აქტივები, როგორც წესი, არა მხოლოდ საგადასახადო შეღავათების გამო, არამედ ფინანსური გამჭვირვალობისთვის თავის არიდების მიზნითაც თავსდება.[70] შესაბამისად, „ოფშორების კანონი“ საქართველოში შემოსვლის მოტივაციას მისცემს გაუმჭვირვალე, ბუნდოვანი წარმოშობის, მათ შორის, სანქცირებულ კაპიტალსაც, რომელიც, შესაძლებელია, რომ როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში დემოკრატიისთვის ძირის გამოთხრის, კრიმინალის, ომისა და ტერორიზმის დაფინანსებას ემსახურებოდეს. მოსალოდნელია, რომ ასეთი ტიპის აქტორებისა და მათი ინტერესების საქართველოში თავმოყრა შექმნის ქვეყნის საერთაშორისო ფინანსური და ეკონომიკური სისტემიდან იზოლაციის რისკს, გააუარესებს საშინაო და საგარეო უსაფრთხოების ხარისხს და კიდევ უფრო გაართულებს პოლიტიკური ინსტიტუტების არაფორმალური გავლენებისგან გათავისუფლების შესაძლებლობას.

საერთაშორისო ბერკეტები და გეოპოლიტიკური გადალაგება

პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში დემოკრატიზაციის პროცესის განსხვავებული შედეგების ასახსნელად ლუკან ვეიმ და სტივენ ლევიცკიმ ყურადღება გაამახვილეს დე-

[62] თოფურია, სალომე და ტატო ხუნდაძე. 2022. „ნეოლიბერალური სტატუს-კვო: რატომ არ მუშაობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება“, 6. ფრიდრიხ ებერტის ფონდი. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/meo2uda7. განახლებულია: 13.06.2024.

[63] სოციალური სამართლიანობის ცენტრი. „სახელისუფლებო მედია სიღარიბის შესახებ სტატისტიკური მონაცემებით მანიპულირებს“. 30.04.2024. ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/. განახლებულია: 08.06.2024.

[64] სოციალური სამართლიანობის ცენტრი. „სოციალური შემწეობის მიმღებთა რაოდენობა ისტორიულ მაქსიმუმზეა“. 05.07.2023. ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/produ. განახლებულია: 06.08.2024.

[65] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. Poverty and Gini Coefficients. ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/en/modules/categories/192/living-conditions. განახლებულია: 06.08.2024.

[66] რადიო თავისუფლება. „ამდენი ემიგრანტი საქართველოს არასდროს ჰყოლია? - რატომ და სად მიდიან სამშობლოდან“. 06.05.2024. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/%E. განახლებულია: 06.08.2024.

[67] Magyar, Bálint, Alena Ledeneva, and Bálint Madlovics. 2022. The Anatomy of Post-Communist Regimes: A Conceptual Framework. Budapest: Central European University Press, 616.

[68] რადიო თავისუფლება. 29.05.2024. „პარლამენტმა „ოფშორების კანონზე“ პრეზიდენტის ვეტო დაძლია“. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/1eo0wXcz. განახლებულია: 13.06.2024.

[69] თოფურია, სალომე და ტატო ხუნდაძე. 2022. „ნეოლიბერალური სტატუს-კვო: რატომ არ მუშაობს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება“, 33. ფრიდრიხ ებერტის ფონდი. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/meo2uda7. განახლებულია: 13.06.2024.

[70] Johnson, Simon, and Daron Acemoglu. 2024. Dark Offshore Money Threatens Democracy. Project Syndicate. 2024. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/weo2pUln. განახლებულია: 13.06.2024.

მოკრატიული სახელმწიფოების საერთაშორისო გავლენაზე და წამოაყენეს ზემოქმედების (leverage) და სიახლოვის (linkage) თეორია.[71] დასავლეთის ქვეყნების ზემოქმედების ხარისხი განისაზღვრება იმის მიხედვით, რამდენად ექვემდებარება მოცემული ქვეყანა აშშ-სა და ევროკავშირისგან მომდინარე დემოკრატიზაციის ზეწოლას.[72] კერძოდ, რამდენად აქვს სახელმწიფოს დასავლეთთან შევაჭრების უნარი და რამდენად მოწყვლადია ის ავტოკრატიზაციის გამო დასავლეთისგან მომდინარე დამსჯელობითი ეკონომიკური, სტრატეგიული თუ პოლიტიკური გადაწყვეტილებებისადმი.[73] რაც შეეხება სიახლოვეს, ის მოიცავს დასავლურ ქვეყნებთან ეკონომიკურ, პოლიტიკურ, გეოგრაფიულ, სოციალურ, ორგანიზაციულ და სხვა ტიპის კავშირების ერთობლიობას, რომელთა ინტენსიურობა განსაზღვრავს, რამდენად ეფექტიანი იქნება სახელმწიფოს მიმართ დასავლეთის მიერ გამოყენებული ზემოქმედების მექანიზმები (მაგალითად, ვაჭრობასთან დაკავშირებული ხელშეკრულების გაწყვეტას მით უფრო მეტი ეფექტი ექნება, რაც უფრო მეტად არის სახელმწიფოს ეკონომიკა დამოკიდებული დასავლურ ქვეყნებთან ვაჭრობასა და ინვესტიციებზე; სასაზღვრო პოლიტიკის გამკაცრებას მით უფრო მეტი ზემოქმედება ექნება, რაც უფრო ხშირია ხალხთაშორისი მიგრაციული მოძრაობა და სხვ.)[74]

საფიქრებელია, რომ ამ მექანიზმის არსებობას „ქართული ოცნებაც“ იაზრებს. საქართველო მჭიდროდ არის დამოკიდებული დასავლური სახელმწიფოებიდან მომდინარე ეკონომიკურ, პოლიტიკურ, დიპლომატიურ და ჰუმანიტარულ მხარდაჭერაზე, რომელიც ქვეყნის ავტოკრატიზაციის შემთხვევაში ხელისუფლებაზე ზემოქმედების ბერკეტად შეიძლება იქნას გამოყენებული. ამის ნათელი მაგალითია „რუსული კანონის“ მიღების გამო აშშ-ის მიერ საქართველოსთან ურთიერთობის პოლიტიკის გადახედვა, რისი დასაწყისიც აღმოჩნდა „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული 30-მდე პირისთვის სავიზო სანქციების დაწესება.[75] სავარაუდოა, რომ ბიძინა ივანიშვილს, რომელიც თავს სანქცირებულად აქამდეც მიიჩნევდა,[76] „ოფშორების კანონით“ საქართველოში საკუთარი ქონებისთვის სანქციებისგან დაცული სივრცის შექმნა სურს. ეს სივრცე სავარაუდოდ მიმზიდველი აღმოჩნდება დასავლური სახელმწიფოებისგან სანქცირებული ჩინური, რუსული თუ ირანული კომპანიებისთვისაც. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ საგადასახადო შეღავათებმა რეგიონულ ავტოკრატიულ რეჟიმებთან დაახლოებისა და კავშირების გაძლიერების შესაძლებლობაც შექმნას, მათთან ალიანსს კი „ქართული ოცნება“, შესაძლებელია, რომ დასავლურ ქვეყნებთან პატრნიორობის ალტერნატივადაც განიხილავდეს.

დასკვნა

ამ თავში განხილული იყო „ქართული ოცნების“ მიერ „ოფშორების კანონის“ მიღების შესაძლო მოტივები პოლიტიკური რეჟიმების კვლევებში განვითარებული სხვადასხვა თეორიისა და მათი კომბინაციის პერსპექტივიდან. კანონის შესაძლო შედეგებთან დაკავშირებული ჰიპოთეზებიც სწორედ ამ პრიზმიდან იყო გამოთქმული. შესაძლებელია, რომ კანონის რეალური ზეგავლენა ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებზე აქ განვითარებული ნააზრევისგან განსხვავებული აღმოჩნდეს, თუმცა „ქართული ოცნების“ მმართველობის უკანასკნელი პერიოდისთვის დამახასიათებელი სწრაფი ავტოკრატიზაცია, დემოკრატიული სახელმწიფოებისგან იზოლაციისკენ სწრაფვა და მოკავშირეების ავტორიტარულ სახელმწიფოებში ძიება მყარად გვაფიქრებინებს, რომ „ოფშორების კანონიც“, მსგავსად „რუსული კანონისა“, ქვეყნის ეკონომიკისა და პოლიტიკის ოლიგარქიული ინტერესების მიმართ კიდევ უფრო მტკიცედ დაქვემდებარებას ისახავს მიზნად. კერძოდ, „ოფშორების კანონის“ მეშვეობით „ქართული ოცნება“, სავარაუდოდ, შეეცდება, რომ მოიმხროს სარგებლის მიმღები ბიზნეს და ეკონომიკური ელიტები, დაიცვას და გააფართოოს უშუალოდ ბიძინა ივანიშვილის პირადი ქონება და განიმტკიცოს კავშირები ისეთ არადემოკრატიულ მოკავშირეებთან, როგორებიც რუსეთი და ჩინეთი არიან.

[71] Way, Lucan A., and Steven Levitsky. 2007. “Linkage, Leverage, and the Post-Communist Divide.” East European Politics and Societies: And Cultures 21 (1): 48–66, 48.
[72] იქვე.
[73] იქვე, 50.
[74] იქვე, 56.
[75] ტაბულა. „რა ვიცით ოცნებისთვის დაწესებულ სანქციებსა და სანქცირებულ პირებზე?“ 06.06.2024. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Peo2lG7Z. განახლებულია: 13.06.2024.
[76] რადიო თავისუფლება. „ძალიან მალე განვიხილავთ“ - ო’ბრაიენი ივანიშვილისთვის სანქციების დაწესებაზე“. რადიო თავისუფლება. 14.05.2024. ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/Jeo2AfHN. განახლებულია: 13.06.2024.